პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
2 აგვისტო
1939 წ.
№ 175 (5575)
ფასი 10 კაპ.

მუშებო და კოლმეურნეებო, ინჟინრებო, ტექნიკოსებო, მოსამსახურეებო, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკებო! ხელი მოაწერეთ მესამე ხუთწლედის სესხს!

უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ვამრავლოთ სოციალიზმის გამარჯვებანი!



6.000.000.000

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ

(მეორე წლის გამოშვება)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

იმ მიზნით, რომ მოზიდულ იქნას მოსახლეობის დანაზოგი მესამე ხუთწლედში სამეურნეო - კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად და ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამოშვებულ იქნას მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეორე წლის გამოშვება) ექვსი მილიარდი მანეთის რაოდენობით.

2. სესხი გამოშვებულ იქნას 20 წლის ვადით — 1939 წლის 1 დეკემბრიდან 1959 წლის 1 დეკემბრამდე, წლიური 4 პროცენტის ანგარიშით.

3. სესხის ობლიგაციები და მათი შემოსავალი, მათ შორის მოგებანიც, განთავისუფლებულ იქნას სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებით დაბეგვრისაგან.

4. დამტკიცდეს მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (მეორე წლის გამოშვება) გამოშვების პირობები, წარმოდგენილი სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი

მ. ხლომოვი

მოსკოვი, კრემლი
1939 წ. 1 აგვისტო.

სახალხო სესხი

დღეს ქვეყნდება საკავშირო მთავრობის დადგენილება მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ (მეორე წლის გამოშვება). საბჭოთა ქვეყნის ხალხი ღრმა მოწონების გრძნობით მიესალმება სესხის გამოშვებას. სოციალიზმის ქვეყნის მშრომელმა მასებმა იციან, რომ სახელმწიფო სესხებში მოთავსებული მათი სახსრები გამოყენებული იქნება მათივე ინტერესებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის, სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად და ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად.

ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველჰყო ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის შეცვლა, მან შექმნა მტკიცე ნიადაგი საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვის. ამ ერთიანობის შესანიშნავი დემონსტრაცია იყო სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები, ამ არჩევნებში პარტიულებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება.

საბჭოთა ქვეყანა, წინათ ჩამორჩენილი და უკულტურო, ახლა წარმოადგენს მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოს მთელს მსოფლიოში. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ახალი ტექნიკით აღჭურვის თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავეა შედარებით ყველა სხვა ქვეყანასთან“... **(სტალინი).**

მეორე ხუთწლედმა კოლოსალური როლი ითამაშა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ბუმბერაზულად განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1937 წელს, ახლად აგებულ და რეკონსტრუირებულ საწარმოებიდან მიღებულ იქნა მთელი პროდუქციის 80%-ზე მეტი. სოფლის მეურნეობაში მომუშავე ყველა ტრაქტორთა და კომბაინთა 90 პროცენტამდე ჩვენი მრეწველობის მიერ არის გამოშვებული მეორე ხუთწლედში. ჩვენ შევქმენით ასობით ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც მოწყობილია თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, აგებულია მძლავრი გიგანტები დნეპროჰესი, თეთრ ზღვა-ბალტიის ზღვის და მოსკოვ-ვოლგის არხები, ახლად არის შექმნილი მრეწველობის მთელი რიგი დარგები (შავი მეტალურგია, დაზგათმშენებლობა, საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობა და სხვ.).

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზაზე აყვავდა და უმაგალითოდ გაიფურჩქნა სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა.

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა თავდაცვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ.

ბოლშევიკების დიადმა პარტიამ საბჭოთა ხალხის მხარდაჭერით მოსპო და გაანადგურა ხალხის უბოროტესი მტრები. ომის გამჩაღებელ ფაშისტთა ხროვა კიდევ შეეცდება ჩვენს ქვეყანაში ჰგზავნოს უფრო მეტი აგენტები სოციალიზმის მონაპოვართა საზიანოდ. ჩვენი ვალია ავამაღლოთ ბოლშევიკური შეტევითი სიფხიზლე, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი სიძლიერე და მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში, რათა მტრების მოსალოდნელმა ოინებმა არ მოგვისწროს მოუმზადებელს.

პარტიის XVIII ყრილობაზე თავის ისტორიულ მოხსენებაში ხალხთა ბრძენმა ბელადმა დიდმა **სტალინმა** ჩვენი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე დასვა უდიდესი ამოცანა — უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიურადაც გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა შეუძლებელია მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე.

მესამე ხუთწლედით გათვალისწინებულ გრანდიოზულ სამუშაოთა პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა დიდძალი სახსრები.

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო და ამჟამადაც არის ჩვენი სოციალისტური მეურნეობის—მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის დაგროვება. ამ საქმეში დიდ როლს თამაშობენ აგრეთვე მოსახლეობის სახსრებიც, რომლებიც გროვდება სახელმწიფო სესხებისა და შემნახველი სალაროების საშუალებით.

სესხის ობლიგაციების მქონებელთა რიცხვი სსრ კავშირში ამჟამად 50 მილიონ კაცზე მეტს ითვლის. ორი სტალინური ხუთწლედის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტში სესხების საშუალებით შემოვიდა 25 მილიარდ მანეთამდე. გასულ წელს მიღებულმა სახელმწიფო სესხმა ხუთ მილიარდ მანეთს გადააჭარბა. ჩვენს ქვეყანაში სესხები სახალხო ხასიათს ატარებენ.

არცერთი წუთით ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ მესამე ხუთწლედის მეორე წლის სესხიც ისევე სწრაფად და მოკლე დროში გავრცელდება, როგორც წინა წლების სესხები. ამის თავდებია ჩვენი ქვეყნის ხალხთა ღრმა სიყვარული თავის დედა-სამშობლოსადმი, მათი თავდადება და უდიდესი ერთგულება ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სესხის გავრცელებას. ამ საქმეში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ აგიტმუშაობის მდიდარი გამოცდილება, რომელიც დაგროვდა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს.

სახელმწიფომ მესამე ხუთწლედის მეორე წლის სესხი გამოუშვა 6 მილიარდი მანეთის რაოდენობით. სესხზე ხელისმოწერა უნდა მოვაწყოთ მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლის საფუძველზე. სასტიკად უნდა დავიცვათ ხელისმოწერის ნებაყოფლობა.

ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის მტრების ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი ნაბოლარები შეეცდებიან ხელი შეუშალონ სესხის წარმატებით გავრცელებას. საჭიროა მეტი სიფხიზლე და ბოლშევიკური შორსმჭვრეტელობა, რომ მტრების ყოველგვარი ოინები გამოვამჟღავნოთ.

სესხზე ერთსულოვნად ხელისმოწერა და მისი მოკლე დროში გავრცელება ერთხელ კიდევ დაადასტურებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას და მის ურყევ ნებისყოფას — თავისი საკუთარი სახსრებით გამარჯვებით დააგვირგვინოს სოციალიზმის საქმე.

საქართველოს მუშებო და მუშა ქალებო! ინჟინერ-ტექნიკოსებო და მოსამსახურეებო! ხელი მოაწერეთ მესამე ხუთწლედის (მეორე წლის გამოშვების) სესხს! განამტკიცეთ ჩვენი მშვენიერი, აყვავებული სამშობლოს ძლიერება!

დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1939 წლის 1 აგვისტოს

პირობები

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის გამოშვებისა

(მეორე წლის გამოშვება)

1. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეორე წლის გამოშვება) შესდგება ორი გამოშვებისაგან: წაუგებელისა და პროცენტიანისაგან.

წაუგებელი გამოშვების ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით, ხოლო პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციებისა — პროცენტების სახით კუპონების მიხედვით.

2. სესხის თვითეული გამოშვება იყოფა თანრიგებად — ასი მილიონი მანეთის რაოდენობით თანრიგში.

თვითეული თანრიგი შესდგება 20 ათასი სერიისაგან. წაუგებელი გამოშვების თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები ნომერ 60.001-დან ნომერ 80.000-მდე, ხოლო პროცენტიანი გამოშვებისას ნომერ 140.001-დან ნომერ 160.000-მდე.

თვითეულ სერიაში ობლიგაციებს აქვს ნომრები ნომერ 1-დან ნომერ 50-მდე.

3. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეორე წლის გამოშვება) გამოდის წაუგებელი გამოშვების 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციებად და პროცენტიანი გამოშვების 500, 200, 100 და 25 მანეთის ღირებულების ობლიგაციებად.

500 და 200 მანეთის ღირებულების ობლიგაციები შესდგება შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევა უფლებას: ა) წაუგებელი გამოშვებისა—ხუთ ან ორ მოგებაზე, რომლებიც ერთსადაიმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს; ბ) პროცენტიანი გამოშვებისა — პროცენტულ შემოსავალზე ობლიგაციის მთელი ნომინალური ღირებულებიდან.

50, 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების ან პროცენტული შემოსავლის შესაბამის წილზე (ნახევარი, მეოთხედი, მეათედი).

შენიშვნა: 25 და 10 მანეთის ღირებულების ობლიგაციები განკუთვნილია ხელისმომწერლებთან ანგარიშის გასასწორებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელმოწერის თანხის მიხედვით არ შეიძლება გაიცეს უფრო დიდი ღირებულების ობლიგაციები.

4. სესხის წაუგებელი გამოშვების მოგებანი წესდება 3.000, 1.000, 500, 200 და 150 მანეთის რაოდენობით 100-მანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთი) ჩათვლით.

სესხის ოცი წლის ვადის განმავლობაში მოიგებს წაუგებელი გამოშვების ყოველი ობლიგაცია.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

5. წაუგებელ გამოშვებაზე სესხის ოცი წლის ვადის განმავლობაში მოხდება მოგებათა 80 ტირაჟი —ოთხ-ოთხი ტირაჟი თვითეული წლის პერიოდში.

მოგებათა ტირაჟები მოხდება იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

6. მოგებათა თვითეულ ტირაჟში წაუგებელი გამოშვების თვითეულ თანრიგზე, ე. ი. სესხის ამ გამოშვების თვითეულ 100 მილიონ მანეთზე, გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

წელი	რომელ ტირაჟებში	3000 მანეთის მოგებათა რაოდენობა	1000 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	500 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	200 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	150 მანეთიან მოგებათა რაოდენობა	მოგებათა საერთო რაოდენობა თვითეულ ტირაჟში	მოგებათა საერთო თანხა თვითეულ ტირაჟში (მანეთობით)
1	2	3	4	5	6	7	8	9
1 წელი	1-4 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში . .	1	5	50	1.000	10.944	12.000	1.874.600
2 წელი	5-8 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში . .	1	5	50	1.000	10.944	12.000	1.874.600
3 წელი	9-12 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში . .	1	5	50	1.200	7.944	9.200	1.464.600
4 წელი	13-16 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	50	1.200	7.944	9.200	1.464.600
5 წელი	17-20 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	50	1.200	7.944	9.200	1.464.600
6 წელი	21-24 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
7 წელი	25-28 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
8 წელი	29-32 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
9 წელი	33-36 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
10 წელი	37-40 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
11 წელი	41-44 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
12 წელი	45-48 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
13 წელი	49-52 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
14 წელი	53-56 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
15 წელი	57-60 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	100	1.400	5.794	7.300	1.207.100
16 წელი	61-64 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	150	1.600	11.044	12.800	2.059.600
17 წელი	65-68 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	150	1.600	15.594	17.350	2.742.100
18 წელი	69-72 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	150	1.600	21.494	23.250	3.627.100
19 წელი	73-76 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	150	1.600	31.294	33.050	5.097.100
20 წელი	77-80 ტირაჟებში გათამაშდება თვითეულში .	1	5	150	1.600	37.194	38.950	5.982.100
	სულ ყველა 80 ტირაჟში სესხის წაუგებელი გამოშვების თვითეულ 100 მილიონ მანეთზე გათამაშდება	80	400	8.000	110.400	881.120	1.000.000	158.888.000

7. ის ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ჰხვდა, გასანაღდებლად შეიძლება წარდგენილ იქნას 1960 წლის 1 დეკემბრამდე.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ობლიგაციები, რომლებიც გასანაღდებლად არ ყოფილა წარდგენილი, ძალას ჰკარგავს და განაღდებული აღარ იქნება.

8. სესხის პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციათა შემოსავალი განაღდება კუპონებით წელიწადში ერთხელ 4 პროცენტის რაოდენობით. კუპონების განაღდების ვადები დგება თვითეული წლის 1 დეკემბერს, დაწყებული 1940 წლის 1 დეკემბრიდან.

9. პროცენტიანი გამოშვების ობლიგაციების გამოსყიდვა ხდება 1955 წლის 1 დეკემბრიდან ხუთი წლის განმავლობაში (1955, 1956, 1957, 1958 და 1959 წლებში) თანაბარი ნაწილებით ყოველწლიურად.

1955-1958 წლებში გამოსასყიდი ობლიგაციები განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით. დაფარვის ტირაჟთა ჩატარების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ობლიგაციების მქონეთ გამოსყიდვის დროს ობლიგაციების ნომინალური ღირებულება მიეცემათ, დაწყებული იმ წლის 1 დეკემბრიდან, რომელშიც მოხდა ტირაჟი.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულა, 1959 წლის 1 დეკემბრიდან გამოისყიდება.

10. დაფარვის ტირაჟში გასულ ობლიგაციაზე კუპონები განაღდდება იმ წლის 1 დეკემბრის ვადის კუპონების ჩათვლით, რომელშიც ტირაჟი მოხდა. შემდგომი ვადების კუპონები არ განაღდება.

11. პროცენტიანი გამოშვების გამოსასყიდი ობლიგაციები, აგრეთვე კუპონები, რომელთა განაღდების ვადა დადგა, შეიძლება წარდგენილ იქნას გასანაღდებლად 1960 წლის 1 დეკემბრამდე.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ის ობლიგაციები და კუპონები, რომლებიც გასანაღდებლად წარდგენილი არ ყოფილა, ძალას ჰკარგავს და განაღდებული არ იქნება.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი

ა. ზვერევი

სახელმწიფო საშინაო სესხის მეშვიდე ტირაჟი

ხარკოვი, 1 აგვისტო (საკდესი). 10 აგვისტოს ხარკოვში შესდგება სახელმწიფო საშინაო 1938 წლის მომგებიანი სესხის მეშვიდე ტირაჟი. გათამაშდება 11.360 მოგება 7.668.800 მანეთის რაოდენობით. აქედან 8 მოგება თვითეული 25.000 მანეთიანი, 40 მოგება—თვითეული 10.000 მანეთიანი, 240 მოგება—თვითეული 50.000 მანეთიანი და სხვ.

დროშა აღმართულია!

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნილია

მოსკოვი, 1 აგვისტო.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენისათვის მთელი საბჭოთა ქვეყანა ემზადებოდა. ქარხნებში, საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ყანებში, მანქანა-ტრაქტორთა და ელექტრიულ სადგურებში, მეცხოველეობის ფერმებში, მხატვრებისა და მოქანდაკეთა სახელოსნოებში, სამეცნიერო ინსტიტუტებში სდუღდა მუშაობა. მილიონობით ადამიანები ემზადებოდნენ პასუხსაგებ და საპატიო ამოცანისათვის — ნათლად და ფერადოვნად აესახათ სოფლის მეურნეობის სრულიად - საკავშირო გამოფენაზე საკოლმეურნეო წესწყობილების გამარჯვებანი, სოციალიზმის ქვეყნის მიწათმოქმედების სიმძლავრე და სიმდიდრე.

და აი დადგა დღე, რომელსაც დიდიხანია ველოდით. საუცხოო ქალაქი-ბაღი აგვისტოს მზის სხივებით არის გაშუქებული. დღეს სტუმართა პირველი ათასები დაუვიწყარი ისტორიული ზეიმის მოწამენი გახდებიან.

დღის 12 საათია. გამოფენის მოოქროულთაღიანი, დიდებული ჭიშკარი ღიაა. შედიან პირველი დამთვალიერებლები. მათს თვალწინ იშლება გრანდიოზული პანორამა. სასახლე-პავილიონებში სიჩუმეა. მაგრამ ექსკურსიების ხელმძღვანელები უკვე თავის ადგილებზე არიან. პავილიონებში შესვლა ჯერ არ შეიძლება; შესავალი გადაღობილია ალისფერი ლენტებით. როცა დროშა აფრიალდება მთავარ პავილიონზე, მაშინ გადასჭრიან ამ ლენტებს და საუკეთესო კოლმეურნეები, კომბაინერები, ტრაქტორისტები, აგრონომები, მებაღეები, მეცხოველეები, მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები დედაქალაქის მშრომელებთან ერთად პირველად დაიწყებენ საუცხოო ექსპონატების დათვალიერებას.

მოსკოველებისა და მოსული სტუმრების სულ ახალ-ახალი ჯგუფები, სადღესასწაულო ტანსაცმელით გამოწყობილნი, ავსებენ გამოფენის ხეივნებს. ისინი მთავარი პავილიონისკენ მიემართებიან. აქ, კოლმეურნეობათა მოედანზე შეიკრიბნენ ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი ხელით მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის გამარჯვებანი. აქ არიან რუსები, უზბეკები, ბელორუსები, უკრაინელები, ყირგიზები, ყაზახები, ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, თურქმენები, ტაჯიკები —საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიანი ოჯახი. ესენი ჩვენი სოფლის მეურნეობის მოწინავენი და წარჩინებული ადამიანები არიან. ასეთები, როგორც ესენი არიან, 150 ათასზე მეტი კაცია, რომელმაც სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მიიღო. 15 ათასზე მეტი კოლმეურნეობა და 11 ათასი საკოლმეურნეო ფერმა, 268 მანქანა-ტრაქტორთა სადგური და 795 საბჭოთა მეურნეობა, რომელთაც სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს, დაშვებულია ამ გამოფენაში—სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა ამ საყოველთაო-სახალხო დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად.

დღის 2 საათზე დაიწყო დღესასწაული. ტრიბუნაზეა ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. მ. შვერნიკი, გ. დიმიტროვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. ვიშინსკი, ა. ე. ბადაევი, ვ. ვ. ვახრუშევი, ს. მ. ბუდიონი, ა. ს. შჩერბაკოვი, ემ. იაროსლავსკი, ი. ა. ბენედიქტოვი, ნ. ვ. ციცინი,** სსრ კავშირისა და რსფსრ სახკომები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **ი. ა. ბენედიქტოვმა** მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა მისცა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, ამხანაგ **ვ. მ. მოლოტოვს.** ჰგრიალებს მქუხარე ოვაცია. მოედანზე ჰგუგუნებს შეძახილები „ვაშა“ სოციალიზმის გამარჯვებათა დიდი ორგანიზატორის — **ლენინ-სტალინის** პარტიის პატივსაცემად, ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად, მთავრობის მეთაურის ამხანაგ **მოლოტოვის** პატივსაცემად.

ამხანაგ **მოლოტოვის** სიტყვა არაერთგზის იყო შეწყვეტილი მქუხარე ტაშით. ტაში სწვდებოდა უზარმაზარი მოედნის კიდით-კიდეს. როცა ამხანაგმა მოლოტოვმა დაასრულა თავისი სიტყვა, ერთი გრძნობით გატაცებულმა ათასობით ადამიანებმა დაიწყეს „ინტერნაციონალის“ მღერა.

2 საათსა და 45 წუთზე ამხანაგმა მოლოტოვმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალებით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო 1939 წლის გამოფენა გახსნილად გამოაცხადა. „ინტერნაციონალის“ ჰანგებში მთავარ პავილიონზე ნელნელა აფრიალდა ალისფერი დროშა. ერთდროულად დროშები აფრიალდა ყველა პავილიონზე.

— მობრძანდით, სტუმრებო, დაიწყო გამოფენის დათვალიერება, — გამოაცხადა ამხანაგმა ბენედიქტოვმა. პირველი დამთვალიერებლები გაეშურნენ პავილიონის კარებისაკენ. ამხანაგმა მოლოტოვმა გადასჭრა ლენტი მთავარი პავილიონის შესავალთან და პირველმა დამთვალიერებლებმა დაიწყეს შესანიშნავი მოგზაურობა ჩვენს საუცხოო და თვალუწვდენელ ქვეყანაში, რომელიც გადაჭიმულია მცხუნვარე სუბტროპიკებიდან ყინულოვანი ოკეანის ნაპირებამდე. (საკდესი).

გამოფენის გახსნის წინ

მოსკოვი, 1 აგვისტო (ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორ.) გუშინ, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის წინ, საქართველოს პავილიონი ინახულეს გამოფენის დასათვალიერებლად მოსულმა ამხანაგებმა **მოლოტოვმა, მიქოიანმა, კაგანოვიჩმა.** მათ თან ახლდათ მთავარი საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ბენედიქტოვი.** საქართველოს პავილიონში მთავრობის წევრებს შეხვდა პავილიონის დირექტორი ამხ. **ბუჯიაშვილი.**

ამხანაგებმა მოლოტოვმა, მიქოიანმა და კაგანოვიჩმა დაათვალიერეს პავილიონის სამივე დარბაზი და ორანჟერია. მათი თხოვნით მათ წარუდგინეს პავილიონის მთავარი არქიტექტორი ამხ. **ქურდიანი** და მთავარი მხატვარი ამხ. **სიდამონ-ერისთავი.** მიმართა რა ამხ. ქურდიანს, ამხ. მიქოიანმა სთქვა: „თქვენ შეჰქმენით ხელოვნების საუცხოო ნაწარმოები“. მთავრობის წევრებმა პავილიონში 25 წუთს დაჰყვეს.

საბჭოთა მეცნიერების საპატიო ამოცანა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას უდავოდ უდიდესი მნიშვნელობა ექნება საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის.

სოციალისტური მინდვრებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის მოწინავე მუშაკთა მიღწევების ჩვენება ფართო შესაძლებლობას მისცემს ჩვენი ქვეყნის მეცნიერთ განაზოგადონ სტახანოვური გამოცდილება სოფლის მეურნეობაში. სოციალისტური მიწათმოქმედების ნოვატორების პრაქტიკას ძვირფასი განძი შეაქვს სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში.

იქ, სადაც ერთპიროვნული მეურნე სდგას ასწლოვანი გამოცდილების წინაშე, რომლის იქითაც მას არ შეუძლია ნაბიჯის გადადგმა, კოლმეურნეს, რომელიც კოლექტიურ შრომაში ემყარება აგრონომიის, მტს-ების, ქოხ-ლაბორატორიების, სასუქის მრეწველობის მიღწევებს, შეუძლია განუსაზღვრელად იაროს წინ.

ისეთი ახალი აგრონომიული პროცესების მეცნიერული დამუშავება, რომლებიც შრომის მაღალ სტახანოვურ ნაყოფიერებას შეეფერება, საბჭოთა მეცნიერების საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

გაუმარჯოს სტახანოვური პრაქტიკისა და მოწინავე მეცნიერების ადამიანთა კავშირს, რომელთა საერთო მეცადინეობა უზრუნველჰყოფს სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომს, კიდევ უფრო მაღალ აღმავლობას!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ვ. ლ. კომაროვი

საკდესის ცნობა

როგორც პრესა გადმოგვცემს, თემთა პალატაში წარმოთქმულ თავის სიტყვაში ა/წ. 31 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მოადგილემ ბ-მა ბატლერმა სთქვა, რომ ინგლისის მთავრობა ყველა ზომას იღებს სსრ კავშირსა და ინგლისს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის ლიკვიდაციის დასაჩქარებლად; ამ აზრთა სხვადასხვაობაში მთავარია საკითხი იმის შესახებ, უნდა ხელვყოთ თუ არა ჩვენ ბალტიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა. მე თანახმა ვარ, სთქვა ბ-მა ბატლერმა, რომ ჩვენ ეს არ უნდა ჩავიდინოთ, და სახელდობრ ამ აზრთა სხვადასხვაობაში მდგომარეობს მთავარი მიზეზი მოლაპარაკების გაჭიანურებისა.

საკდესს რწმუნება აქვს განაცხადოს, რომ თუ ბ-მა ბატლერმა მართლაც გამოსთქვა ზემოთმოხსენებული აზრი, მაშინ მან დაუშვა საბჭოთა მთავრობის პოზიციის დამახინჯება. სინამდვილეში კი უთანხმოება იმაში როდი მდგომარეობს ხელვჰყოთ თუ არა ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა, რადგან ორივე მხარე ამ დამოუკიდებლობის გარანტირებას უჭერს მხარს, არამედ იმაში, რომ ფორმულაში „არაპირდაპირი აგრესიის“ შესახებ არავითარი საძრომი არ დავტოვოთ აგრესორისათვის, რომელიც ხელჰყოფს ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობას. მოლაპარაკების გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის ფორმულა სტოვებს ასეთ საძრომს აგრესორისათვის.

საქართველოს პავილიონი დიდძალ ხალხს იზიდავს

(ბილდაპარატით ჩვენი სპეც. კორესპონდენტებისაგან)

გუშინ, საქართველოს პავილიონი დაათვალიერეს ამხანაგებმა კ. ე. ვოროშილოვმა, მ. მ. კაგანოვიჩმა, ემ. იაროსლავსკიმ, სტარჩენკომ.

*

მოსკოვი, 1 აგვისტო. სრულ 3 საათზე ამხანაგმა მოლოტოვმა დაამთავრა თავისი შესანიშნავი სიტყვა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გახსნილად გამოაცხადა. მთავარი პავილიონის შენობაზე აღიმართა დიდი ალისფერი დროშა, იმავე წუთში აღიმართა წითელი დროშები ყველა პავილიონების შენობებზე. გრიალებს მქუხარე ტაში, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს, სოციალიზმის ქვეყნის ღირსეული ადამიანები, სოციალისტური მიწათმოქმედების გმირები მხურვალედ მიესალმებიან საკოლმეურნეო წყობილების გიგანტურ გამარჯვებათა სახალხო დათვალიერების გახსნას. კოლმეურნეობათა მოედანზე, სადაც საზეიმო მიტინგი მიმდინარეობდა, იფეთქა მძლავრმა შადრევნებმა, რომლების სიმაღლე შორდებოდა პავილიონთა ცათამბჯენ შენობებს.

საქართველოს პავილიონზე დროშა აღმართა პავილიონის დირექტორმა ამხ. ვ. ბუჯიაშვილმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ორდენოსანმა აიშე გურგენიძემ გადასჭრა წითელი ლენტი და გზა გაუხსნა პავილიონში შესასვლელად მოზღვავებულ სტუმრებს. ამავე წუთში საქართველოს პავილიონის დარბაზები აავსო ზღვა ხალხმა. სტუმრები ყურადღებით ათვალიერებდნენ მრავალფეროვან და საუცხოო ექსპონატებს. სტუმრებს სტენდებთან ხვდებოდნენ და ახსნა-განმარტებას აძლევდნენ სპეციალურად გამოყოფილი ამხსნელები და საქართველოს შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც გუშინ ჩამოვიდნენ მოსკოვში.

პირველ სტუმართა შორის, რომლებმაც დაათვალიერეს საქართველოს პავილიონი, იყვნენ უკრაინის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომელთაც თან ახლდა უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სტარჩენკო.

ამავე დღეს საქართველოს პავილიონი დაათვალიერეს ამხანაგებმა: მ. მ. კაგანოვიჩმა, ემ. იაროსლავსკიმ, და სხვ. ყველა მნახველი პავილიონს მაღალ შეფასებას აძლევს, ისინი აღტაცებული არიან მზიანი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესანიშნავი წარმატებებით, რაც საუცხოოდაა ასახული ექსპონატებში, სურათებსა და დიაგრამებში. სტუმრებზე განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს პავილიონის პირველი პასაჟი, სადაც საუცხოო ორანჟერიის ფონზე დგას კაკაბაძის მიერ შესრულებული ქანდაკება „სტალინი ახალგაზრდობისას“, ხოლო მის გვერდით — მაკეტი ისტორიული სახლისა, რომელშიც დაიბადა და ბავშვობა გაატარა დიდმა **სტალინმა.** პავილიონის გახსნიდან 3 საათის შემდეგაც კი ამ დარბაზში ტევა არ იყო. დიდძალი ხალხი ეხვევა სიდამონ-ერისთავისა და ვეფხვაძის შესანიშნავ სურათებს, რომლებიც ასახავენ მომენტებს **სტალინის** რევოლუციური მოღვაწეობიდან საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ხალხის განუწყვეტელი ნაკადი მიედინება საქართველოს პავილიონის ბაღში, სადაც ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ქარვისებური ნაყოფით დახუნძულ ხეებს აღტაცებაში მოჰყავთ მნახველები. საქართველოს პავილიონის ახლოს მუსიკა განუწყვეტლივ ასრულებს შესანიშნავ სამხიარულო ნომრებს. მუსიკის ამ ტკბილ ხმებში განუწყვეტლივ მიედინებიან მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მოწინავე ადამიანები.

საქართველოს მოწინავე კოლმეურნეები, რომლებიც ჩამოსული არიან გამოფენაზე, აღტაცებული არიან მოძმე რესპუბლიკათა პავილიონების სიდიადით. მათზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკრაინის პავილიონმა და მექანიზაციის პავილიონმა.

ამავე დღეს საქართველოს პავილიონი დაათვალიერა ამხ. **კ. ე. ვოროშილოვმა.**

გეგმის 106 პროცენტი

ლანჩხუთის რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა გადაჭარბებით — 101,5%-ით შეასრულა. გეგმით უნდა მოკრეფილიყო 804 ტონა ფოთოლი, მოკრეფილია 816 ტონა და 787 კილოგრამი. სამი თვის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ს. ბუაძე
რაიაღმასკომის თავმჯდომარე შ. ჟანუყვაძე

ჩაის კრეფის ივლისის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

ზუგდიდი, 31 ივლისი. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა 31 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა. უნდა მოკრეფილიყო და ჩაის ფაბრიკას ჩაჰბარებოდა 1.187.906 კილოგრამი ჩაი. გეგმა შესრულებულია 101,1 პროცენტით.

მაისის, ივნისისა და ივლისის ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა შესრულებულია 116,9 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა—69.9 პროცენტით.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი
გრ. ჩაჩიბაია
რაიაღმასკომის თავმჯდომარე
გ. საჯაია

მოკრეფილია 317232 კილოგრამი ჩაის ფოთოლი

(ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის რაიონმა ჩაის კრეფის სამი თვის გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. მაისში, ივნისში და ივლისში მოკრეფილია 317232 კილოგრამი ჩაი, რაც წლიური გეგმის 62,2 პროცენტს შეადგენს.

დ. საბელაშვილი

თათბირი საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

29-30 ივლისს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სხდომის დარბაზში ჩატარდა იმ კოლმეურნეობათა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების რესპუბლიკური თათბირი, სადაც პარტიული ორგანიზაციები არ არსებობს. თათბირს დაესწრო 140 კაცი.

საქ. კ. პ (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ და იმ კოლმეურნეობათა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებზე, სადაც პარტიული ორგანიზაციები არ არსებობს, მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **კ. შეროზიამ.**

მოხსენების გარშემო გამართულ გაცხოველებულ კამათში მონაწილეობა მიიღო 31 კაცმა.

მოკამათეთა სიტყვებიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში კომკავშირი ღირსეულად ასრულებს პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამ კოლმეურნეობებში კომკავშირი პარტიის პოლიტიკის ღირსეული გამტარებელი გახდა.

— იმ 27 საკითხიდან, რომლებიც უკანასკნელი თვის განმავლობაში განვიხილეთ, — განაცხადა თავის სიტყვაში ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ს. ბარბაქაძემ, — 14 საკითხი სამეურნეო ხასიათისა იყო. ჩვენს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე კოლმეურნეობა გეგმებს ვადამდე და გადაჭარბებით ასრულებს. კომკავშირელები შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

— კომკავშირის ორგანიზაცია, — ამბობს ამხ. ს. ბარბაქაძე, — არც შინასაკავშირო მუშაობას ივიწყებს. სამი კომკავშირელი აგიტატორი სისტემატურად ატარებს საუბრებს საკოლმეურნეო ბრიგადებში. გასული წლის აგვისტოში ჩვენს ორგანიზაციას სამი წევრი ჰყავდა; ახლა მათი რიცხვი 26-მდე გაიზარდა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანმა ამხ. უ. თამაზაშვილმა აღნიშნა, რომ კომკავშირის ორგანიზაციის კარგი მუშაობის შედეგად აღნიშნული კოლმეურნეობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობს. გამოფენის მონაწილეა აგრეთვე 4 კომკავშირელი.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგემ ამხ. შ. დგებუაძემ აღნიშნა, რომ კომკავშირის ზოგიერთი პირველადი ორგანიზაცია ჯერ კიდევ ძველებურად მუშაობს. ხაშურის რაიონის სოფელ ტაშისკარის კოლმეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციას ერთი წლის განმავლობაში ერთხელაც არ განუხილავს სამეურნეო საკითხი. აქ კომკავშირელები არა თუ მოწინავეთა რიგებში დგანან, პირიქით კუდში მისჩანჩალებენ უპარტიო ამხანაგებს.

თათბირზე სიტყვა წარმოსთქვა საქ. ალკკ ც. კ-ის მდივანმა ამხ. **ა. მირცხულავამ.**

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **კ. შეროზია.**

თათბირმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი. (საქდესი).

კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

29-30 ივლისს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილებების უფროსთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირმა მოისმინა სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის ამხ. **ი. მონიავას** მოხსენება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის ორგანოების მიერ 1939 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგებზე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავშირგაბმულობის ზოგიერთი ორგანოები მეტად მოუქნელად მუშაობენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტელეგრაფის განყოფილებების უვარგისი მუშაობა. დეპეშების დანიშნულ ადგილზე მიტანას ყველაზე მეტად აგვიანებენ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი და აგრეთვე ჯავის, ყვარლის, ქუთაისის, ლენტეხის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ხარაგოულის, ცაგერის და ჩხარის ტელეგრაფის რაიონული განყოფილებები.

მომხსენებელმა აღნიშნა ისიც, რომ კავშირგაბმულობის მუშაკთა შორის ჯერ კიდევ სუსტია შრომის დისციპლინა. კავშირგაბმულობის მარტო თბილისის დაწესებულებებში მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ადგილი ჰქონდა დაგვიანების 525, ხოლო სამუშაოს გაცდენის 298 შემთხვევას.

ამხ. მონიავას მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. შავგულიძემ (თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი), ბახჩიევმა (სოხუმი), სანაკოევმა (სტალინირი), რამიშვილმა (მახარაძე), რევაზოვმა (თელავი), ახობაძემ (სამტრედია), ყაჭეიშვილმა (ახალქალაქი), ჭეიშვილმა (ქუთაისი), ჯავახიშვილმა (გორი) და სხვ., სულ 24 კაცმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **გ. სტურუა,** რომლის შინაარსიანი სიტყვა თათბირის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა

აჩიგვარა, 1 აგვისტო. აჩიგვარის მიქოიანის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება — ივლისში გეგმის ზევით 172 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფის შესახებ გადაჭარბებით შეასრულა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 180 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, აქედან 167 ტონა პირველი ხარისხისა.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. კოხოძე

საბჭოთა კავშირის გმირის, დივიზიის მეთაურის ს. ვ. ხოლზუნოვის, მაიორ ს. ა. ჩერკასოვის, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინრის ა. გ. ტიტოვის და მამასახლის ი. კ. კურნიშევის დაკრძალვა

31 ივლისს, დილიდან, ათასობით მოსკოველები მიდიოდნენ თავდაცვის სახალხო კომისარიატის მე-2 სახლთან, რათა გამომშვიდობებოდნენ ჰაერის მამაცი მხედრების, სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილების — საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, დივიზიის მეთაურის **ვ. ს. ხოლზუნოვის,** მაიორ **ს. ა. ჩერკასოვის,** მე-3 რანგის სამხედრო ინჟინრის **ა. გ. ტიტოვისა** და მამასახლის **ი. კ. კურნიშევის** ნეშტს, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ.

...მაღალ პოსტამენტთან, რომელზედაც ცოცხალ ყვავილებს შორის დადგმულია ურნები განსვენებულთა ნეშტით, უძრავად სდგას სამხედრო ყარაული. 31 ივლისს საპატიო ყარაულის ერთერთ პირველ ცვლაში იდგნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსი, არმიის მე-2 რანგის სარდალი **ა. დ. ლოქტიონოვი,** საბჭოთა კავშირის გმირები, დივიზიის მეთაური **დანილინი,** ბრიგადის მეთაური **ერემენკო,** ბრიგადის მეთაური **ბელიაკოვი,** ბრიგადის მეთაური **შახტი,** ბრიგადის მეთაური **ტურჟანსკი** და სხვები. მოდიან წითელი არმიის ნაწილების, მოსკოვის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დელეგაციები.

16 საათსა და 30 წუთზე სწყდება დარბაზში შესვლა. რჩებიან ნათესავები, ახლობლები, ამხანაგები მუშაობაში, ავიანაწილების წარმომადგენლები. ახლოვდება გამოთხოვების უკანასკნელი წუთები. დარბაზში შემოდის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი.** იგი თავის მოადგილეებთან — არმიის პირველი რანგის სარდალ **გ. ი. კულიკთან,** საბჭოთა კავშირის მარშალ **ს. მ. ბუდიონთან,** არმიის 1-ლი რანგის კომისარ **ე. ა. შჩადენკოსთან** ერთად საპატიო ყარაულში დგება. მათ სცვლიან საბჭოთა კავშირის გმირი, დივიზიის მეთაური **ი. ი. პროსკუროვი,** კორპუსის კომისარი **ა. ი. ზაპოროჟეცი,** კორპუსის კომისარი **რ. პ. ხმელნიცკი** და დივიზიის კომისარი **ფ. ფ. კუზნეცოვი.**

მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს. ამხანაგები **ვოროშილოვი, კულიკი, ბუდიონი, შჩადენკო, პროსკუროვი, ზაპოროჟეცი, ხმელნიცკი** ასწევენ კატაფალკს ვ. ს. ხოლზუნოვის ნეშტითურთ. თანამებრძოლებსა და მეგობრებს გამოაქვთ ურნები ს. ა. ჩერკასოვის, ა. გ. ტიტოვისა და ი. კ. კურნიშევის ნეშტით.

სამგლოვიარო პროცესიამ ჩაუარა კრემლს, გაიარა სანაპირო ქუჩის გასწვრივ, კრაპოტკინის ქუჩით და გაემართა ნოვო-დევიჩის სასაფლაოსაკენ. წინ მიაქვთ უამრავი გვირგვინი, მათ შორის გვირგვინები საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ე. ვოროშილოვისაგან, თავდაცვის სახალხო კომისარიატისაგან, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო საჰაერო ძალთა სამხედრო საბჭოსაგან და სხვ.

19 საათზე ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგი გახსნა მოსკოვის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, ბრიგადის მეთაურმა **ი. ტ. ერემენკომ.**

გულთბილი გამოსათხოვარი სიტყვით გამოვიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა და საბჭოთა კავშირის გმირთა სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის გმირი, ბრიგადის მეთაური ამხ. **ბელიაკოვი.** იმ ნაწილის მეთაურთა, პოლიტმუშაკთა და მებრძოლთა სახელით, რომელშიც ჰაერის ოთხი გმირი მსახურობდა, სამგლოვიარო მიტინგზე გამოვიდა ბრიგადის კომისარი ამხ. **იზოტოვი.** ვ. ს. ხოლზუნოვის მეგობართა სახელით სიტყვა წარმოსთქვა მაიორმა ამხ. **გუსევმა.**

იმ მომენტში, როდესაც ამხ. ბელიაკოვმა თავისი სიტყვა დაიწყო ნოვო-დევიჩის სასაფლაოს თავზე გამოჩნდა სწრაფმავალ ყუმბარამტყორცნთა და ავიაგამანადგურებელთა ესკადრილია. საბრძოლო მწყობრით გაიქროლეს თავიანთი მრისხანე მანქანებით მფრინავებმა, რომლებიც ამხანაგებს ემშვიდობებოდნენ.

მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს, რასაც სცვლის „ინტერნაციონალი“. ურნები საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ს. ხოლზუნოვის, მაიორ ა. ს. ჩერკასოვის, მე-3 რანგის სამხედრო ინჟინრის ა. გ. ტიტოვის და მამასახლის ი. კ. კურნიშევის ნეშტითურთ სასაფლაოს კედელში ჩაჰკირეს. გაისმის თოფის სამჯერადი სალუტი. (საკდესი).

უცხოეთის არმიების წარმომადგენელთა სამძიმარი საბჭოთა კავშირის გმირის, დივიზიის მეთაურის ვ. ს. ხოლზუნოვისა და მისი ეკიპაჟის დაღუპვის გამო

საბჭოთა კავშირის გმირის, დივიზიის მეთაურის **ვ. ს. ხოლზუნოვის,** მაიორ **ს. ა. ჩერკასოვის,** მე-3 რანგის სამხედრო ინჟინრის **ა. გ. ტიტოვისა** და მამასახლის **ი. კ. კურნიშევის** ტრაგიკულად დაღუპვასთან დაკავშირებით, 31 ივლისს სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატს ეწვივნენ და სამძიმარი გამოუცხადეს: ბულგარეთის არმიის სახელით—ბულგარეთის სამხედრო ატაშემ პოდპოლკოვნიკმა ჩილინგიროვმა, პოლონეთის არმიის სახელით—პოლონეთის სამხედრო ატაშის თანაშემწემ მაიორმა მალეცინსკიმ.

ამას გარდა, სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატმა მიიღო სამძიმარი საფრანგეთის სამხედრო ატაშის გენერალ პალასისაგან, საფრანგეთის სამხედრო საჰაერო ატაშის პოდპოლკოვნიკ ლუგუსაგან, საფრანგეთის სამხედრო ატაშის თანაშემწის მაიორ აბრაამისაგან და თურქეთის სამხედრო ატაშის პოდპოლკოვნიკ თურქქენისაგან.

მფრინავ მ. ი. ალექსეევის დაღუპვა

მოსკოვი, 31 ივლისი (საკდესი). 27 ივლისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა გამომცდელი მფრინავი მიხეილ იულიანის-ძე **ალექსეევი.**

* * *

მიხეილ იულიანის-ძე დაიბადა 1903 წელს მასწავლებლის ოჯახში. 1920 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მოხალისედ შევიდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში. 1925 წელს მან დაამთავრა მფრინავთა სკოლა. 1933-35 წლებში ამხ. ალექსეევი მსახურობს წითელ არმიაში მფრინავად და უჭირავს მეთაურის მთელი რიგი თანამდებობანი. 1935 წლიდან მიხეილ იულიანეს-ძე მუშაობს ქარხანაში გამომცდელ მფრინავად.

ამხ. ალექსეევი ერთერთი პირველი იყო იმ საბჭოთა მფრინავებს შორის, რომლებმაც შეუპოვრად დაიწყეს მუშაობა სიმაღლეზე ფრენის ტექნიკის დარგში. 1937 წლის სექტემბერში მან დაამყარა 1.000 კილოგრამი სასარგებლო ტვირთით სიმაღლეზე ფრენის მსოფლიო რეკორდი. ამ გაფრენის შემდეგ ამხ. ალექსეევმა ამხანაგ **სტალინისაგან** მიიღო მისალმება, რამაც უდიდესი ენერგია შეჰმატა მფრინავს ახალი საგმირო საქმეების შესასრულებლად.

* * *

მ. ი. ალექსეევის დაკრძალვა მოხდება 4 აგვისტოს 18 საათზე ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე.

სპორტის ოსტატის პუშკინის წარმატება

ტულა, 31 ივლისი (საკდესი). გუშინ რკინიგზის ტრანსპორტის სრულიად-საკავშირო დღის აღსანიშნავად საზოგადოება „პიშჩევიკის“ ახალ ტრეკზე გაიმართა ველომარულა. მასში მონაწილეობა მიიღო ქალაქის 47 საუკეთესო ველომარულემ.

სპორტის ოსტატმა **პუშკინმა** აღგილიდან 15 კილომეტრი დისტანციის გარბენაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია, გაიარა რა ეს დისტანცია 22 წუთსა და 49,1 წამში. მან გადააჭარბა ამხ. ბუკრეევის საკავშირო რეკორდს, რომელიც დამყარებულ იქნა შარშან.

ა. ზვერევი

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი

მესამე ხუთწლედის სესხი

(მეორე წლის გამოშვება)

სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მიიღო პარტიის XVIII ყრილობამ, წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად პროგრამას. კაპიტალური მშენებლობის ოდენობით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდის ტემპებით, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებით მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა სავსებით შეესაბამება განვითარების იმ ახალ ხანას, რომელშიც შევიდა ჩვენი ქვეყანა, — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანას.

საკმარისია გავიხსენოთ მესამე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დავალებანი, რომ თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ, თუ რა გიგანტურ ნაბიჯს გადასდგამს წინ ჩვენი ქვეყანა.

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს 1937 წლის 95,5 მილიარდი მანეთიდან 184 მილიარდ მანეთამდე 1942 წელს, ე. ი. 92 პროცენტით.

სამრეწველო პროდუქციის მატება მესამე ხუთწლედში შეადგენს (1926 — 1927 წლ. ფასებში) 88,5 მილიარდ მანეთს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ერთად აღებული პირველი ორი ხუთწლედის პროდუქციის მატებას. ამ გეგმის შესრულების დროს ჩვენში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 15-ჯერ და უფრო მეტად გადააჭარბებს ომის წინადროინდელი პროდუქციის წარმოებას.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1937 წლის 20,1 მილიარდი მანეთიდან (1926 — 1927 წლ. ფასებში) გაიზრდება 30,5 მილიარდ მანეთამდე 1942 წელს, ე. ი. 52 პროცენტით.

კაპიტალური მშენებლობის მოცულობა მთელ სახალხო მეურნეობაში განსაზღვრულია 192 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 114,7 მილიარდი მანეთისა, რომელიც დაბანდებულია კაპიტალურ მშენებლობაში მეორე ხუთწლედის განმავლობაში. ახალ და რეკონსტრუირებულ საწარმოთა ღირებულება, რომლებიც ამუშავდება მესამე ხუთწლედში, შეადგენს 193 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 103 მილიარდი მანეთისა მეორე ხუთწლედში.

სახალხო მოხმარება სსრ კავშირში გაიზრდება ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, ხოლო ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე (სოციალური დაზღვევა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.) სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები 1937 წლის 30,8 მილიარდი მანეთიდან გაიზრდება 53 მილიარდ მანეთამდე 1942 წელს. სახალხო შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის შრომის შედეგს, გაიზრდება 80 პროცენტით — 1937 წლის 96 მილიარდი მანეთიდან 174 მილიარდ მანეთამდე 1942 წელს.

ასეთი გრანდიოზული გეგმის განსახორციელებლად სახელმწიფომ უნდა მოახდინოს უდიდესი თანხების მობილიზაცია. მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო ვერ მიმართავს სახსრების გამონახვის ისეთ წყაროებს, რომლებსაც მიმართავენ კაპიტალისტური ქვეყნები. კაპიტალისტური ქვეყნები აწარმოებენ მოსახლეობიდან სახსრების ამოქაჩვას მშრომელთათვის დიდი გადასახადებისა და ბეგარის დაკისრებით. ისინი მიმართავენ დიდ საგარეო სესხებს, რომელთა გადახდის მთელი სიმძიმე აწვება მშრომელებს. ისინი სძარცვავენ კოლონიებს, იპყრობენ სხვის მიწებს და ამით ცდილობენ დაფარონ თავიანთი განუზომელად მზარდი ხარჯები ომების მომზადებისა და წარმოებისათვის, არმიის, პოლიციის, ეკლესიის და სახელმწიფო ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიულ აპარატის შესანახად.

პირველი იმპერიალისტური ომის დროიდან კოლოსალურად გაიზარდა მთავარი კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება ახალ-ახალ სესხების გამოშვებასთან დაკავშირებით, რომლებსაც არასაწარმოო დანიშნულება აქვთ. მაგალითად, ინგლისის სახელმწიფო ვალმა 1938 წელს მიაღწია 8,1 მილიარდ გირვანქა სტერლინგს, ნაცვლად 1913 წლის 0,7 მილიარდი გირვანქა სტერლინგისა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ვალი 1913 წლის 1,2 მილიარდი დოლარიდან გაიზარდა 37,2 მილიარდ დოლარამდე 1938 წელს; გერმანიისა — 4,1 მილიარდი მარკიდან 38 მილიარდ მარკამდე; იტალიისა — 15,1 მილიარდი ლირიდან 200 მილიარდ ლირამდე; იაპონიისა—2,6 მილიარდი იენიდან 15 მილიარდ იენამდე და სხვ.

სულ სხვა მდგომარეობაა სსრ კავშირში, საბჭოთა სახელმწიფო არ მიმართავს კაბალურ საგარეო სესხებს. საბჭოთა სახელმწიფო საუცხოოდ სარგებლობს გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის ყველა უპირატესობით. მეურნეობის სოციალისტური სისტემა შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა სახელმწიფოს თავი მოუყაროს სახელმწიფოს განკარგულებაში უზარმაზარ სახსრებს, რომლებიც ჭარბად ფარავენ ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილებებს, და ამავე დროს უზრუნველჰყოფენ მშრომელთა კულტურის აყვავებას და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას; წლითიწლობით იზრდება სოციალისტური მრეწველობის პროდუქცია, იზრდება საქონელბრუნვა და ამის შესაბამისად მტკიცდება საბჭოთა ფინანსები.

საეჭვოა, რომ ახლა არსებობდეს თუნდაც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც უდეფიციტო ბიუჯეტი ჰქონდეს. ბიუჯეტის დეფიციტი კაპიტალისტური ქვეყნების ფინანსთა ქრონიკული სენი გახდა.

ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც უკვე მრავალი წლის განმავლობაში არ იცის დეფიციტი თავის ბიუჯეტში, — ეს არის სსრ კავშირი. ეს არის შედეგი საბჭოთა ხელისუფლების სწორი ლენინურ-სტალინური ფინანსიური პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია სოციალისტური მეურნეობის მძლავრი განვითარებისაკენ და განუყრელად დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობასთან.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში სსრ კავშირის შემოსავალმა სახელმწიფო ბიუჯეტით გადააჭარბა გასავალს 13,3 მილიარდი მანეთით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ, რომელიც მაისში მიმდინარეობდა, მიიღო სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი დამტკიცებულია 156.097.829 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო საგასავლო ნაწილი — 155.447.829 ათასი მანეთის რაოდენობით, ე. ი. შემოსავალი აღემატება გასავალს 650 მილიონი მანეთით.

რას ემყარება სსრ კავშირის 156-მილიარდიანი საშემოსავლო ბიუჯეტი?

იგი უწინარეს ყოვლისა ემყარება ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ დაგროვებას — სოციალისტური მრეწველობიდან, ტრანსპორტიდან, სოფლის მეურნეობიდან და ვაჭრობიდან შემოსულ თანხებს. შემოსავლის წყაროები იძლევიან საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტში შემოსული ყველა თანხების 9/10-ს. მოსახლეობისათვის შეწერილი გადასახადები კი შეადგენენ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უმნიშვნელო წილს — შემოსავლის მთელი თანხის 4 პროცენტამდე.

მომჭირნეობის რეჟიმის დაცვა, ბრძოლა უყაირათობის ყოველგვარ გამოვლინებასთან, საწარმოთა შემოსავლიანობის გადიდება, სამრეწველო პროდუქციის ზრდა და საქონელბრუნვის ამასთან დაკავშირებული გაფართოვება, ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის საერთო აღმავლობა, — აი რა უდევს საფუძვლად საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკას, აი რა უზრუნველჰყოფს არა მარტო ჩვენი ბიუჯეტის უდეფიციტობას, არამედ გასავალთან შედარებით შემოსავლის სისტემატურ სიჭარბეს.

საბჭოთა სახელმწიფოს შემოსავლის სერიოზულ წყაროს წარმოადგენენ სახელმწიფო სესხები. პირველი ხუთწლედის განმავლობაში სახელმწიფო სესხებმა სახელმწიფოს მისცეს 5,8 მილიარდი მანეთი, მეორე ხუთწლედის განმავლობაში — 18,8 მილიარდი მანეთი. 1938 წელს შემოვიდა კიდევ 5,4 მილიარდი მანეთი. ეს იყო დიდი დახმარება სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის. მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია შემოსავალი იმ სახელმწიფო სესხებიდან, რომლებიც მოსახლეობაში ხელმოწერით ვრცელდება, 5.850 მილიონი მანეთის რაოდენობით.

გაუვალი უფსკრულია ჩვენს სესხებსა და კაპიტალისტური ქვეყნების სესხებს შორის. იქ, კაპიტალიზმის ქვეყნებში, სესხები წარმოადგენს უწინარეს ყოვლისა საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვის საშუალებას განსაკუთრებით ფაშისტური აგრესიის ქვეყნებში. ფაშისტური სახელმწიფოები — გერმანია, იტალია, იაპონია — უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებენ ყაჩაღურ ომებს, რომლებმაც დააცალიერა სახელმწიფო ხაზინა და გაღატაკებამდე და გაჩანაგებამდე მიიყვანა ხალხის მასები. ასეთ პირობებში ყოველი ახალი სესხი წარმოადგენს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთათვის ახალ ტვირთს, მოაქვს მათთვის ახალი გაჭირვება და უბედურება.

საბჭოთა სესხები — ეს სახელმწიფო შემოსავლის წყაროა, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სესხში მონაწილეობით ჩვენი ქვეყნის თვითეული მოქალაქე მიისწრაფვის გამოხატოს თავისი მგზნებარე პატრიოტიზმი, თავისი უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი, თავისი უსაზღვრო ნდობა საბჭოთა მთავრობისადმი და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი.

თვით ხასიათი ჩვენი სესხების განაწილებისა სრულიად უმაგალითო და შეუძლებელია კაპიტალისტურ სამყაროში. გამოქვეყნდება თუ არა ცნობა ახალი სესხის გამოშვების შესახებ, მაშინვე ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და სამადნოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, რკინიგზის ტრანსპორტზე იკრიბება ხალხმრავალი მიტინგები. იხილავენ ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას, აჯამებენ წარმატებებსა და მიღწევებს, სახავენ უახლოეს სახალხო-სამეურნეო ამოცანებს, და იქვე იწყებენ სესხზე ხელმოწერას. ეს ტრადიციად იქცა ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა სესხები მასობრივი, საყოველთაო-სახალხო სესხებია. მეორე ხუთწლედის სესხზე (პირველი წლის გამოშვება), რომელიც გამოშვებულ იქნა 1933 წელს, ხელი მოაწერა 40 მილიონმა კაცმა 3 მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით.

მესამე ხუთწლედის სესხზე, რომლის პირველი გამოშვება შესდგა გასულ წელს, ხელი მოაწერა 50 მილიონზე მეტმა კაცმა. სესხი გამოშვებულ იქნა 5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ფაქტიურმა ხელმოწერამ კი 5.887,4 მილიონი მანეთი შეადგინა. ამაში თავი იჩინა არა მარტო საბჭოთა მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობისა და შეგნებულობის ზრდამ, არამედ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობამაც, მისი შეძლებულობის ზრდამ.

ამჟამად საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა ახალი სესხი—მესამე ხუთწლედის სესხი (მეორე წლის გამოშვება) 6 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ე. ი. ერთი მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ხელმოწერა ამჯერადაც უმოკლეს ვადაში ბევრად გადააჭარბებს გამოშვებულ თანხას.

ამის საწინდარს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება, მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლება და მათი შემოსავლისა და ხელფასის განუწყვეტელი ზრდა. ამის ერთერთ მაჩვენებელს წარმოადგენს მოსახლეობის დანაზოგთა ზრდა შემნახველ სალაროებში: 1938 წლის 1 იანვრისათვის სსრ კავშირის შემნახველ სალაროებში მოსახლეობის ანაბართა ნაშთი შეადგენდა 4,5 მილიარდ მანეთს, 1939 წლის 1 იანვრისათვის ეს ნაშთი შეადგენდა 6 მილიარდ მანეთზე მეტს; ხოლო 1 აპრილისათვის 6,5 მილიარდი მანეთით გამოიხატება.

ანაბარის საშუალო ოდენობა უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში 10-ჯერ გაიზარდა.

სესხად აძლევს რა თავისი დანაზოგების ნაწილს სახელმწიფოს, საბჭოთა მოქალაქემ იცის: მისი ფული მუშურ-გლეხური ხელისუფლების საიმედო ხელშია, რომელიც მას ხალხის კეთილდღეობას მოახმარს.

ხელს აწერს რა მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება), ჩვენი დიადი სამშობლოს თვითეულ პატრიოტს თვალის წინ აქვს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმა. მან იცის, რომ სესხით შეგროვილი მილიარდები, სახელმწიფოს სხვა შემოსავლებთან ერთად, მოხმარდება მსოფლიოში უდიდესი კუიბიშევის ჰიდროკვანძის შექმნას, საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში ნავთის ახალი ბაზის — „მეორე ბაქოს“ მშენებლობას, „საბჭოების სასახლის“ — კაცობრიობის გენიოსის — ლენინის შესანიშნავი ძეგლის აგებას, ახალი ბრძმედების, შახტების, ფაბრიკების, ქარხნების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, კულტურული დაწესებულებების მშენებლობას, მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნას, სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

ხელს აწერს რა მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება), ჩვენი ქვეყნის თვითეულმა შეგნებულმა მოქალაქემ იცის, რომ ის ამით ხელს უწყობს სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის განხორციელებას — ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

„რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს? — ამბობდა პარტიის XVIII ყრილობაზე ამხანაგი **სტალინი.** — ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, წინსვლის სერიოზული და დაუცხრომელი სურვილი და მზადყოფნა გავიღოთ მსხვერპლი, მოვახდინოთ სერიოზული კაპიტალური დაბანდებანი ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ყოველმხრივ გაფართოებისათვის. გვაქვს თუ არა ჩვენ ეს მონაცემები? უეჭველად გვაქვს!“.

მასობრივი საყოველთაო-სახალხო მონაწილეობა მესამე ხუთწლედის სესხზე (მეორე წლის გამოშვება) ხელმოწერაში საუკეთესო პასუხი იქნება ჩვენი დიდი ბელადის, მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** ამ მითითებაზე.

ახალ სესხზე ხელმოწერით საბჭოთა ხალხი ერთხელ კიდევ დაამტკიცებს თავის მზადყოფნას — ყველაფერი გააკეთოს ჩვენი დროის გრანდიოზული ამოცანის შესრულებისათვის—ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს—და ამით გავხადოთ სსრ კავშირი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და ბედნიერ ქვეყნად.

◆

სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა დათვალიერება

საქართველოს ციტრუსები

ასობით მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის, კინკანის, და ციტრონის მსხმოიარე მცენარეები და მათი სურნელოვანი ნაყოფი ამშვენებენ საქართველოს პავილიონს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ისინი მოსკოვს გაგზავნეს საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომ ქვეყანას უჩვენონ თავიანთი სიმდიდრე, თავიანთი დოვლათი.

ციტრუსების მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში მოპოვებული წარმატებისათვის საქართველოდან სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 188 მოწინავეა დამტკიცებული. გამოფენის მონაწილეთა მიერ გაგზავნილი ექსპონატები სწორად ასახავენ იმ დიდი მუშაობის შედეგებს, რაც ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მითითებათა შესასრულებლად ციტრუსოვანთა მეურნეობის აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის საქართველოს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სპეციალისტებმა გასწიეს.

ციტრუსოვანთა ფართობი, მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებზე ორასი წლის ისტორია აქვს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე 400 ჰექტარს არ აღემატებოდა და ისიც სხვადასხვა მავნებლების გავრცელების გამო განადგურებამდე იყო მისული. მანდარინი, ლიმონი და ფორთოხალი, ახლა რომ ფართო მოხმარების საგნად არის გადაქცეული, მაშინ მხოლოდ წარჩინებული წოდების წარმომადგენელთათვის იყო ხელმისაწვდომი.

ციტრუსოვანი კულტურების განვითარების მტკიცე საფუძველი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაეყარა. ამჟამად ციტრუსებს 16.027 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მარტო უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში საქართველოში 15.431,5 ჰექტარი ციტრუსი გაშენდა, 38,5-ჯერ მეტი, ვიდრე მთელი ორი საუკუნის მანძილზე ერთად.

საქართველოს ბოლშევიკები წარმატებით ასრულებენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებას შავი ზღვის სანაპიროებზე 1940 წლისათვის ციტრუსოვანთა საერთო ფართობის 20.000 ჰექტარამდე აყვანის შესახებ. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს ციტრუსოვანთა კულტურის მტკიცე სანერგე მეურნეობა, რომლის ფართობი 1935 წლის 103 ჰექტარიდან ამჟამად 535 ჰექტარამდე არის აყვანილი.

გონიოს, კობორას, ურეკის საბჭოთა მეურნეობებმა, შრომის, მერიის (მახარაძის რაიონი) ულიანოვკის (ქობულეთის რაიონი) კოლმეურნეობებმა და სხვებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გამოფენაში, ფართობის ზრდასთან ერთად თვალსაჩინოდ გაადიდეს ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობა.

1924 წელს მანდარინის თვითეულ ხეზე რესპუბლიკაში საშუალოდ 20-25 ცალი ნაყოფი იქნა მიღებული, 1928 წელს 72 ცალი. შარშან კი, მიუხედავად დიდი გვალვებისა, რამაც ცუდი გავლენა მოახდინა მოსავლიანობაზე, ციტრუსოვანთა თვითეულ ხეზე მიღებულ იქნა საშუალოდ 270 ცალი ნაყოფი. ახლა ჩვენში ცოტა როდია ციტრუსოვანთა ისეთი მცენარეები, რომლებიც წლიურად 2.500-3000 ცალ და კიდევ მეტ ნაყოფს იძლევიან.

1930 წელს საქართველოში სულ 7.608.900 ცალი მანდარინი დამზადდა, შარშან 250.337.900, მიმდინარე წელს კი უნდა დამზადდეს ნახევარი მილიარდი ცალი, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის და გრეიპფრუტის ახალგაზრდა ხეები გაიზრდებიან ისინი 2 მილიარდზე მეტ ნაყოფს მოგვცემენ.

„ქართველმა კომუნისტებმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას მეთაურობით საუცხოო მუშაობა ჩაატარეს დასავლეთ საქართველოში, სადაც უკვე ახლა ცალკეული კუთხეები კალიფორნიაზე უკეთესია, და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ გვექნება ჩვენი საბჭოთა კალიფორნია, ამერიკულზე უკეთესი“ **(ა. მიქოიანი).** სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს.

ქართული ჩაი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში ჩაის კულტურას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. გამოფენის დამთვალიერებელნი იქ თვალნათლივ ნახავენ ჩაის ხავერდოვან პლანტაციებს და ამ ძვირფასი კულტურიდან მიღებულ მაღალხარისხოვან მზა პროდუქციას. ქვეყანა გაეცნობა ჩაის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მდიდარ გამოცდილებას, „აღმოსავლური ხალიჩის ოსტატთა“ მუშაობის შედეგებს და იმ წარმატებებს, რომლებსაც ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** ყოველდღიური ხელმძღვანელობით ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკებმა მიაღწიეს.

რევოლუციამდელ საქართველოში სულ 900 ჰექტარამდე ჩაი იყო გაშენებული, რაც წლის განმავლობაში მხოლოდ 100-120 ათას კილოგრამ მდარე ხარისხოვან პროდუქციას იძლეოდა.

ახლა კი ჩაის პლანტაციებს 45.000 ჰექტარამდე ფართობი უჭირავს. ამ პლანტაციებიდან შარშან სახელმწიფოს ჩაბარდა 35.366.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი; მიმდინარე წელს კი დამზადებული იქნება 43.100.000 კილოგრამი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მხოლოდ სამი პატარა და კუსტარულად მოწყობილი ჩაის ფაბრიკა არსებობდა, ახლა კი უკანასკნელი ტექნიკის მიხედვით მოწყობილი 36 ფაბრიკაა.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა ჩაის კულტურის აგროტექნიკის დაუფლების შედეგად თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. რევოლუციამდე ჩაის მოსავლიანობა ჰექტარზე 400 კილოგრამს არ აღემატებოდა, შარშან კი მთელს რესპუბლიკაში მიღებულ იქნა საშუალოდ ჰექტარზე 2.186 კილოგრამი.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაწესებულ 2.200 კილოგრამის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 3.000-4.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღეს, ცალკეულმა კოლმეურნეობებმა და ბრიგადებმა კიდევ უფრო მეტი. მაგალითად, გამოფენის მონაწილემ, ქობულეთის რაიონის სოფ. დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ, სოფ. აჭყვის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ და სხვებმა ჩაის სარეკორდო მოსავალი — ჰექტარზე 7.000 კილოგრამი მიიღეს. ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის სტახანოველმა კოლმეურნემ ქიონია სარსანიამ მასზე მიმაგრებულ ნაკვეთიდან ჰექტარზე 10.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა, ხოლო სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში მ. ჩაბანიუკის რგოლმა—9.033 კილოგრამი.

ჩაის პლანტაციების ასობით და ათასობით სტახანოველები შრომის ნაყოფიერების ზრდის შესანიშნავ წარმატებებს იძლევიან. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან გამოფენის მონაწილენი უშა ახუბა, ცაცა ქარდავა, ჟონა კილაძე, ხატიჯე კაკაბაძე, ციცინო თევზაძე, დუშა ქვაჩახია, ვალენტინა შეროზია, გოგოშა შარტავა, აიშე გურგენიძე.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის მიერ ჩაის კულტურის ხაზით საქართველოდან სულ 468 მონაწილეა დამტკიცებული.

აჭარა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მ. გოგოლიშვილი
აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას დიდი წარმატებით ხვდებიან.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე აჭარიდან დაშვებულია 406 მონაწილე: კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ბრიგადები და სოფლის მეურნეობის მოწინავენი. მათ შორის 131 მონაწილე ბათუმის რაიონიდანაა, 245 — ქობულეთის რაიონიდან, დანარჩენები კი ქედისა და ხულოს რაიონებიდან. ისინი გამოფენაში მონაწილეობას ძირითადად ჩაისა და ციტრუსების დარგში მიღწეული წარმატებებით ღებულობენ. ეს გასაგებიცაა, რადგან აღნიშნული კულტურები ბედნიერი საბჭოთა აჭარის კოლმეურნეთა შეძლებულ ცხოვრების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ.

მოწინავე კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკე სტახანოველებმა, რომლებიც საუკეთესოდ დაეუფლნენ აგროტექნიკას, არა მარტო მთლიანად, არამედ დიდი გადაჭარბებითაც შეასრულეს გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებული პირობები. მაგალითად, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობიდან გამოფენაში მონაწილეობის უფლება თვრამეტივე ბრიგადამ მოიპოვა. კერძოდ, ამ კოლმეურნეობის ი. სტილიდის ბრიგადამ მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაწესებული 2.750 კილოგრამის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 5.307 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოიყვანა, დ. ფოკიდის ბრიგადამ — 5.000 კილოგრამი და სხვ.

სოფ. აჭყვის კოლმეურნეობა „წითელმა ოქტომბერმა“ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჰექტარზე საშუალოდ 2.200 კილოგრამის ნაცვლად 4.117 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო. ხრისტო მერიციდის ბრიგადამ ჩაის მოსავალი ჰექტარზე 5.377 კილოგრამამდე აიყვანა, ხოლო ცალკეულ ნაკვეთზე მიიღო 7.000 კილოგრამი და კიდევ მეტი.

ციტრუსების დარგში ყველაზე კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქობულეთის რაიონის სოფ. ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ და გონიოს საბჭოთა მეურნეობამ, რომლებიც გამოფენაზე დაშვებული არიან ფართო ჩვენებით. გონიოს საბჭოთა მეურნეობამ 1937-1938 წლებში მარტო ლიმონის თვითეულ ხეზე მიიღო საშუალოდ 1.120 ცალი ნაყოფი, სამჯერ მეტი, ვიდრე გამოფენაში მონაწილეობის პირობები ითვალისწინებდა. კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ კი 350 ცალის ნაცვლად მანდარინის თვითეულ ხეზე 1937-1938 წლებში საშუალოდ 416 ცალი ნაყოფი მიიღო, ცალკეულ ხეზე კი 1.150 ცალი. ასეთი მაგალითები ერთეულები როდია.

ამ წარმატებებს აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იმით მიაღწიეს, რომ ისინი დაწესებულ ვადებში და ყველა დადგენილ წესის დაცვით ასრულებდნენ მიცემულ გეგმებს, მეცნიერულ მონაცემებს ავსებდნენ და ამდიდრებდნენ სტახანოველთა გამოცდილებით.

ჩაისა და ციტრუსების მოწინავე აგრონომებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ი. ვორდეზიანმა, ი. შარაშიძემ, მ. ყურშუბაძემ, ა. მიქაშავიძემ, ვ. ვასაძემ, ა. გოგოლაძემ, ვ. გორდელაძემ, ს. ჭანტურიშვილმა, ი. გოგუაძემ და სხვებმა, რომლებიც გამოფენის მონაწილეებად არიან დამტკიცებულნი, საუკეთესოდ მოაწყეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრომომსახურება და მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა, რამაც უზრუნველჰყო მოსავლიანობის გადიდება ყველა კულტურის ხაზით.

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სტახანოველთა შორის აღსანიშნავია ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხატიჯე კაკაბაძე, რომელმაც შარშან სეზონში 5.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა; ამავე რაიონის სოფ. ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი გული ჭინჭარაძე, რომელმაც გამოფენაში მონაწილეობისათვის დაწესებულ 2.500 კილოგრამის ნაცვლად სეზონში მოჰკრიფა 3.950 კილოგრამი, თუნთულ მახარაძე, რომელმაც მოჰკრიფა 3.536 კილოგრამი და სხვ. მუშაობის საუკეთესო მაგალითები მოგვცეს აგრეთვე ახალშენის საბჭოთა მეურნეობის სტახანოველმა, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარიკა ფუნდუკიდიმ, ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა ბრიგადირმა ახმედ მახარაძემ და სხვ.

აჭარის კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან გამოფენაზე გაიგზავნა მათი მრავალფეროვანი მეურნეობის დამახასიათებელი ექსპონატები — მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ჩაი, ევკალიპტები, დეკორატიული და ეთერზეთოვანი მცენარეები, სუბტროპიკული ხეხილი და სხვ.

ამჟამად აჭარის არცერთი რაიონი, არცერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, მეცხოველეობის არცერთი საკოლმეურნეო ფერმა და ბრიგადა არ არის დარჩენილი მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების გარეშე. ამ შეჯიბრების შედეგად აჭარამ გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების, ტუნგოს, თამბაქოს, სუბტროპიკული ხეხილის, ვენახისა და სხვა კულტურათა გაშენების 1939 წლის პირველი ნახევრის გეგმები. ბათუმის და ქობულეთის რაიონებმა მიმდინარე წლის სეზონის დაწყებიდან 25 ივლისამდე 5.388.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფეს და ჩააბარეს სახელმწიფოს, 1.407.500 კილოგრამით მეტი, ვიდრე შარშან ამავე დროისათვის.

აჭარის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვით სასახელოდ შეასრულონ მიმდინარე წლის ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმები და 1940 წელს სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კიდევ უფრო საპატიო ადგილი დაიკავონ.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი აჭარიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): **აიშე მოწყობილი, ხატიჯე კაკაბაძე და არონ კიტია.**
ფოტო რ. აკოფოვისა.

ფოტოალბომი გამოფენისათვის

მახარაძე, (საქდესი). ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის გამოსცა სპეციალური ფოტოალბომი, რომელშიც ასახულია ჩაის მრეწველობის განვითარებისა და ჩაის კულტურის დარგში სამეცნიერო მუშაობის მიღწევები საქართველოში. ფოტოალბომის მიერ გამოწვეული შთაბეჭდილების შესახებ მოსკოვის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. ი. ვავილოვისაგან ინსტიტუტის დირექტორის ამხ. მარუაშვილის სახელზე მიღებულია შემდეგი შინაარსის წერილი:

„მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი ალბომი. ღრმა მადლობას გიძღვნით ალბომისათვის, რომელმაც ჩვენს ქვეყანაში ჩაის კულტურის განვითარების სრული სურათი მოგვცა. სალამი თქვენი ინსტიტუტის მთელ კოლექტივს.

ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ი. ვავილოვი“.

ნორჩ ნატურალისტთა ექსპონატები

ფრიადოსანი მოსწავლეები, ნორჩი ნატურალისტები ლანჩხუთის რაიონის სუფსის საშუალო სკოლიდან გიორგი და ჭიჭიკო მითაიშვილები, ჩიბათის საშუალო სკოლიდან მიშა სარჯველაძე სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან. მიშა სარჯველაძის მიერ მოვლილი 1 ძირი ლიმონი, რომელმაც 1100 ცალი ნაყოფი გამოიღო, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზეა გაგზავნილი.

გიორგი და ჭიჭიკო მითაიშვილებმა გამოფენაზე გაგზავნეს საუკეთესოდ მოვლილი ლიმონის, გრეიპფრუტისა და ფეიხოას ექსპონატები.

ა. სარჯველაძე

ნორჩი ნატურალისტები, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი ლანჩხუთის რაიონიდან (მარცხნიდან მარჯვნივ): **ჭიჭიკო და გიორგი მითაიშვილები** (სოფ. სუფსა) და **მ. სარჯველაძე** (სოფ. ჩიბათი).

ვ. ბუჯიაშვილი

სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის დირექტორი

საქართველოს პავილიონი

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელსაც 136 ჰექტარი ტერიტორია უჭირავს თავმოყრილია ყველაფერი საუკეთესო, რაც მოგვცა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ სამხრეთის სუბტროპიკული რაიონებიდან უკიდურეს ჩრდილოეთამდე.

გამოფენის მნახველები ნახავენ, როგორ გაიზარდა სტალინური ხუთწლედების განმავლობაში სოციალისტური მიწათმოქმედება, როგორი მძლავრი სამანქანო ბაზა მიიღო მან. როგორ დაეხმარა მოწინავე მეცნიერება სოფლის მეურნეობას. ზონალურ პავილიონებში, მოკავშირე რესპუბლიკების პავილიონებში, საუცხოო მიჩურინულ ბაღში, რომელსაც გამოფენაზე 20 ჰექტარი უჭირავს — ყველგან ნახავს იგი, თუ რა მწვერვალებს მიაღწია ჩვენმა მიწათმოქმედებამ მეცნიერულ საფუძველზე.

გამოფენის მთავარ შესასვლელს რომ გასცდება, მნახველი გაივლის ტრაქტორების ფართო ხეივნით კოლმეურნეობათა მოედანზე, რომელზედაც მდებარეობს 11 პავილიონი, მათ შორის საქართველოს პავილიონიც.

საქართველოს სსრ პავილიონი, რომელიც მთავარი საგამოფენო კომიტეტის კომისიამ მიღების დროს „ფრიადზე“ შეაფასა, გვიჩვენებს მოწინავე კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშების, რესპუბლიკის ნოვატორ მეცნიერთა გმირული შრომის დიად სურათს. იგი ცხადჰყოფს ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების არაჩვეულებრივ აყვავებას, საქართველოს სოციალისტური მიწათმოქმედების საუცხოო ნაყოფს, ახალ ბედნიერ ცხოვრებას ბოლშევიკურ კოლმეურნეობებში.

„ამ წარმატებებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა საქართველომ მიაღწია საკავშირო მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** სისტემატური დახმარების, მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორი გატარების მეოხებით“ (ლ. პ. ბერია).

პავილიონის თვით შენობაშიც კი გამოსჭვივის მხიარული, მზიანი მოტივები. **„საქართველო — დიდი სტალინის სამშობლო ჰყვავის სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ“** — ასეთია წარწერა პავილიონის ცენტრალური დარბაზის კედლის გასწვრივ და ამას დამაჯერებლად გვეუბნება ყველა ექსპონატი, რუკა, დიაგრამა, ციფრი. საქართველოს მშრომელთ მაღლა უჭირავთ ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა — აი მათი ძირითადი შინაარსი.

მთავარ დარბაზში შესვლისას პავილიონის დამთვალიერებელი პირველად დაინახავს კაკაბაძის მიერ შესრულებულ ქანდაკებას **„სტალინი ახალგაზრდობაში“**. ამგვარად, პირველი სიტყვა პავილიონში ნათქვამია ამხანაგ **სტალინზე,** სსრ კავშირის ხალხთა და მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადზე. ამ დარბაზში მნახველი ნახავს იმ სახლის მაკეტს, რომელშიც დაიბადა ამხანაგი **სტალინი,** საქართველოს საუკეთესო მხატვრების მიერ შესრულებულ პანოებსა და სურათებს, რომლებიც გვიჩვენებენ საქართველოში და ამიერ - კავკასიაში **სტალინის** რევოლუციური მუშაობის პირველი წლების სახელოვან ეპოქას. ეს სურათები და პანოები შესრულებული ამხ. **ბერიას** წიგნის — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ თემებზე, წიგნის, რომელმაც მილიონობით მკითხველებს გადაუშალა ბოლშევიზმის გმირული ისტორიის ფურცლები. პროფესორ ვ. სიდამონ-ერისთავის დიდ სურათზე **„ამხანაგ სტალინის საუბარი გლეხებთან“** საუცხოოდ გადმოცემულია რუსეთის პირველი რევოლუციის წინადღეების მრისხანე ეპოქის შინაარსი. „ექსპლოატაციის უღელქვეშ შემდგომი ცხოვრება შეუძლებელია“, — აი ის აზრი, რომელიც შთააგონა გლეხებს ამხანაგმა **სტალინმა** და ეს საუცხოოდ აქვს გადმოცემული მხატვარს. სურათი ლაპარაკობს იმ უდიდეს როლზე, რომელიც შეასრულა ამხანაგმა **სტალინმა** ჩვენს ქვეყანაში მუშათა და გლეხთა საბრძოლო რევოლუციური კავშირის ჩამოყალიბებაში.

ცენტრალურ დარბაზში კედლებზე მოთავსებულია **ლენინი,** ამხანაგების **სტალინისა** და **მოლოტოვის** ბარელიეფები და **ბარელიეფი** ამხანაგ **ბერიასი,** რომელმაც საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში დანერგა მუშაობის სტალინური სტილი და უზრუნველჰყო ორდენოსანი საქართველოს სწრაფი აღმავლობა და აყვავება. ამავე დარბაზში მოთავსებულია საქართველოს გიპსომეტრული ელექტროფიცირებული რუკა, რომელზედაც ავტომატური ჩართვით ინთება ელექტრო წერტები, რომლებიც გვიჩვენებენ რესპუბლიკის სიმდიდრეებსა და სოციალისტური ეკონომიკის განუწყვეტელ აღმავლობას.

აქვე გამოფენილია საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა ნიმუშები — მარგანეცი, ქვანახშირი, ფიქალები, მოლიბდენი, ოქრო, მარმარილო, დარიშხანა, თუთია, ტყვია. ამ რუკის გვერდით მოთავსებული დიაგრამა გვიჩვენებს, რომ სოციალისტური მრეწველობა წარმოადგენს რესპუბლიკის მთელი სახალხო მეურნეობის წამყვან დარგს. რუკის ტექსტი იუწყება ბოლშევიკების მიერ აშენებულ დიდ საწყლო-საინჟინრო ნაგებობათა შესახებ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების მოსარწყავად. დიდი ილუსტრაციების სერია მოგვითხრობს მრეწველობის ახალ კერებზე, რომლებიც შექმნილია სტალინური ხუთწლედების განმავლობაში.

ფართო თაღით მნახველი გადადის ცენტრალური დარბაზიდან მეორე დარბაზში, რომელიც მიძღვნილია სუბტროპიკული და ჩაის მეურნეობის მიღწევებისადმი. აქ მას ხვდება საქართველოს სუბტროპიკული რაიონების რუკა, კოლხიდის ამოშრობისა და ათვისების რუკა და კოლხიდის დიდი სამფაზიანი დიორამა (მხატვარ კელჩევსკის ნახატი), რომელიც გვიჩვენებს, დაჭაობიანებული, მცენარეულობით ღარიბი ნიადაგი როგორ იქცევა აყვავებულ მიწად ციტრუსების პლანტაციებითა და კეთილმოწყობილი სოფლებით.

ამ დიორამის მახლობლად, ცენტრალური კედლის კუთხეში მოთავსებულია სტენდი, მიძღვნილი ტუნგოს გაშენების წარმატებებისადმი. მის გვერდით მოთავსებული ფერადოვანი მასალები მოგვითხრობენ ევკალიპტის, კორპის ხის და ბამბუკის კულტურის შესახებ. შემდეგ თითქმის მთელი კედლის სიგრძეზე გაჭიმულია ჩაის მეურნეობის აყვავებისადმი მიძღვნილი სტენდი. პანოზე გამოხატულია აჭარის წარმტაცი, მზით განათებული პეიზაჟი, ველები და მთის კალთები ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პლანტაციებით. წინა პლანზეა ფიგურები ჩაის კოლმეურნეობათა სამი წარჩინებული მოწინავისა—უშა ახუბასი, აიშე გურგენიძისა და ქიონია სარსანიასი. სტენდის წინ კი განლაგებულია ჩაის პროდუქციის უამრავი ექსპონატი — ჩვეულებრივი შავი ბაიხის ჩაი, მწვანე ბაიხის, ჭვურის ჩაი, შავი ჩაი ფილაკებად და სპეციალური ჩაი ვიტამინებით არქტიკის მუშაკებისათვის.

დარბაზის დიდი განყოფილება მიძღვნილია სუბტროპიკული კულტურების—ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის კულტურებისადმი. ფოტოსურათები, დიაგრამები, მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების ჩვენება დამაჯერებლად მოგვითხრობს, რომ პარტიისა და მთავრობის დირექტივა — 1940 წლის დამლევისათვის ციტრუსების ნარგავების ფართობის 20.000 ჰექტარამდე აყვანის შესახებ — შესრულებული იქნება.

ცალკე პატარა სტენდი მიძღვნილია იმ კოლმეურნეობებისადმი, რომლებიც მისდევენ კეთილშობილი დაფნისა და ნაყოფიანი სუბტროპიკული კულტურების გაშენებას.

სუბტროპიკულ დარბაზში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილ მოწინავეებს, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში შრომის მაღალი სოციალისტური ნაყოფიერებისათვის ბრძოლის დამწყებთ, ახალი სამანქანო აგროტექნიკის ნოვატორებს, რომლებიც გაბედულად ამსხვრევენ მოძველებულ „ზღვარებსა“ და ნორმებს.

სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის დარბაზიდან მნახველი გადადის პავილიონის ორანჟერიაში, სადაც ნაჩვენებია მცენარეული სუბტროპიკული სამყაროს წარმომადგენლები. ორანჟერიის ცენტრალურ ნაწილში იზრდება ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, გრეიპფრუტი, ხოლო გვერდებზე—კვლებში ბანანი, რამი, ახალი ზელანდიის სელი, იუკა, აგავა, ქინაქინის ხე, ეთერზეთოვანი კულტურები და სხვ.

პავილიონის გარშემო მოედანზე კი გაშენებულია მთელი ბაღი. რომელშიც ღია ცის ქვეშ იზრდებიან ქაფურის დაფნა, ეუკომია, ევკალიპტი, ბამბუკი, კორპის, ფანქრის, საპნის ხეები, ხეხილი — მსხალი, ვაშლი, ატამი, ბროწეული. აქვე მოწყობილია ჩაის გორაკი და ცალკე ნაკვეთზე გაშენებულია ვენახი. პავილიონის ღია ნაკვეთზე, ჩაის გორაკის გვერდით დადგმულია ჩაქვის ფაბრიკის მექანიზებული მაკეტი, რომელიც მნახველს უჩვენებს ჩაის ფოთლის გადამუშავების უახლეს მეთოდებს.

პავილიონის მესამე დარბაზი მნახველს უჩვენებს მიღწევებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში—ყურძენი და ღვინო, აბრეშუმი და მეფუტკრეობა, თამბაქო და მეცხოველეობა. ამ დარბაზში ბევრი ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტურ მეხილეობას. მნახველები გაეცნობიან აქ საქართველოს ისეთი მოწინავე კოლმეურნეობების მუშაობასა და ყოფაცხოვრებას, როგორიცაა მევენახეობის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნა“ ან თელავის რაიონის შინსახკომის სახელობის მეცხვარეობის კოლმეურნეობა. მჭერმეტყველური ცხრილები, ციფრები, მაკეტები, დოკუმენტალური ფოტოსურათები, ბოლოს, მრავალი ექსპონატი მოუთხრობს მნახველს, თუ როგორ ცხოვრობს და მუშაობს საქართველოს საკოლმეურნეო სოფელი და როგორ ეხმარებიან სოციალისტურ სოფლის მეურნეობას მეცნიერების ადამიანები.

მთელი პავილიონი გვიჩვენებს, თუ როგორ მკვეთრად შეიცვალა ქართული სოფლის სახე. და მნახველი საქართველოს პავილიონიდან წავა მტკიცედ დარწმუნებული რომ ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, დიდი **სტალინის** დროშით ხელში საქართველოს მშრომელები, სსრ კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, მიაღწევენ კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებს.

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკების შეფერხება

ტოკიო, 31 ივლისი (საკდესი). დღეს დილით ინგლის-იაპონიის მოლაპარაკების გაგრძელების წესით სხდომა უნდა გაემართა სპეციალურ ქვეკომისიას ეკონომიური საკითხების განსახილველად. მაგრამ ამ ქვეკომისიის სხდომა არ შესდგა, რადგანაც უკანასკნელ წუთს ინგლისელებმა წინადადება შეიტანეს, რათა თათბირი გადადებულიყო. ინგლისის დელეგაციამ თავისი წინადადება იმით დაასაბუთა, რომ მას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მზადება ამ საკითხების განსახილველად.

„მრგვალი მაგიდის" კონფერენციას სხდომა უნდა ჰქონოდა 31 ივლისს ნაშუადღევის 4 საათიდან. დღის წესრიგი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკებას შეფერხება ემჩნევა; როგორც ვიცით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ იაპონელები მოითხოვენ აიკრძალოს ჩრდილოეთ ჩინეთში ჩინური დოლარის ხმარება და აგრეთვე გადაეცეს ჩრდილოეთ ჩინეთის მარიონეტულ „მთავრობას" 50 მილიონი დოლარი თანხის ვერცხლი, რომელიც ჩინეთის მთავრობას ეკუთვნის და ინგლისისა და საფრანგეთის ტიანძინის კონცესიებში არსებულ ბანკებში ინახება.

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკების შეფერხებით მეტად უკმაყოფილო არიან იაპონიის სამხედრო წრეები, რომლებიც მოითხოვენ, რომ ინგლისმა უყოყმანოდ მიიღოს იაპონიის ყველა მოთხოვნა, ვინაიდან სხვანაირად ინგლისი, მათი აზრით, „დაარღვევს არიტა-კრეიგის შეთანხმებას, რომელიც მიღწეული იყო კონფერენციის მოწვევის წინ".

უკანასკნელ დღეებში იაპონიის პრესაში მკვეთრად გაძლიერდა ინგლისის საწინააღმდეგო კამპანია. 31 ივლისს ტოკიოში ინგლისის საწინააღმდეგო ორი დიდი დემონსტრაცია გაიმართა. ყოველივე ეს იმ მიზნით ხდება, რომ ზეგავლენა მოახდინონ ინგლისზე და მიაღებინონ მას იაპონიის მოთხოვნები.

ვან ჯუნ-გუის განცხადება

ჩუნცინი, 30 ივლისი (საკდესი). ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ჯუნ-გუიმ, შეეხო რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გადაწყვეტილებას იაპონიასთან სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, უცხოელ კორესპონდენტებს განუცხადა: „ჩინელი ხალხი მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას იაპონიასთან სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ეს ღონისძიება ცხადჰყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იცავენ თავიანთ პოზიციებსა და თავიანთ პრესტიჟს წყნარი ოკეანის აუზში".

ჩინეთის სამხედრო საბჭოს წარმომადგენლის განცხადება

ჩუნცინი, 31 ივლისი (საკდესი). ჩინეთის სამხედრო საბჭოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტოკიოდან 27 ივლისს გავრცელებული ცნობები იმის შესახებ, ვითომც ჩინელები მომწამვლელ ნივთიერებებს იყენებდნენ, შეგნებულ მონაჭორს წარმოადგენს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩინეთის არმია არ საჭიროებს მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებას და ეს საშუალებანი ჩინეთში არ მზადდება. იაპონელების მიერ ამის თაობაზე გავრცელებული ხმები,—სთქვა მან, — მიზნად ისახავენ გაამართლონ მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენება ჩინეთის სხვადასხვა ფრონტებზე თვით იაპონელების მიერ. წარმომადგენელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ ხანს, ტოკიოდან მიღებული ბრძანებით, სხვადასხვა ფრონტებზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა იაპონელთა მიერ მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენება.

იუნანის პროვინციის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭო

ჩუნცინი, 31 ივლისი (საკდესი). 28 ივლისს დაიხურა იუნანის პროვინციის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭოს პირველი სესია. იუნანის პროვინციის ნაციონალურ-პოლიტიკური საბჭო შესდგება სხვადასხვა კულტურული და ეკონომიური ორგანიზაციების 32 წევრწარმომადგენლისაგან. საბჭოს სათავეში უდგას ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლი ხუნ-სიანი. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მასების ეკონომიური და მორალური მობილიზაციის შესახებ საბოლოო გამარჯვების მოსაპოებლად. სესიამ მიიღო მიმართვა იუნანის პროვინციის მთელი მოსახლეობისადმი. მიმართვაში ნათქვამია: „ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე გაერთიანებულია სუნ-იატ-სენის მოძღვრებით, ყველა ჩინელს, მიუხედავად იმისა, გომინდანის წევრია იგი თუ არა, ერთნაირი შეხედულება აქვს ქვეყნის ნაციონალური რეკონსტრუქციის საკითხებზე, რეკონსტრუქციისა, რომელიც დამყარებულია სამ სახალხო პრინციპზე. ომის პირველი დღიდანვე იუნანის პროვინციის ადამიანებისა და მასალის მთელი რესურსები ხმარდება ნაციონალურ - განმათავისუფლებელი ომის საქმეს. ჩვენ მხარს დავუჭერთ ხანგრძლივი ომის ნაციონალურ პოლიტიკას და მთელ ძალას მივმართავთ განმათავისუფლებელი ომის წარმოებისა და ზურგის გამაგრების საქმისკენ. იუნანის პროვინციის მოსახლეობა თავის გულითად გრძნობებს გამოსთქვამს ჩან კაი-შისა და ფრონტის ყველა გმირი მებრძოლისადმი".

სესიამ აირჩია მუდმივი კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მუშაობას სესიიდან სესიამდე.

დაპატიმრება ბერლინელ მოიერიშეთა შორის

ვარშავა, 31 ივლისი (საკდესი). გაზეთი „აბცი" ათავსებს ბერლინიდან მიღებულ ცნობას მოიერიშეთა შორის დაპატიმრების შესახებ. 25 ივლისს ღამით, ნათქვამია ცნობაში, მოიერიშეთა ერთერთი რაზმის (სა) ყაზარმებში, რომელსაც ვილაც კაცი მეთაურობს, შეიჭრა ძლიერი მცველი რაზმი (სს) გესტაპოს აგენტებთან ერთად. მისულებმა გაჩხრიკეს ყაზარმები და დააპატიმრეს 30 მოიერიშე, მათ შორის მოიერიშეთა მეთაური კარლიც. თავდაპირველად ამ ფაქტს გერმანიის ხელისუფალნი ყოველნაირად მალავდნენ, მაგრამ, როდესაც ხმები ფართოდ გავრცელდა, ხელისუფლება იძულებული გახდა ოფიციალურად დაედასტურებინა, რომ აღნიშნულ ფაქტს ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ჰფიქრობენ, რომ დაპატიმრებული მოიერიშეები მონაწილეობას იღებდნენ ანტიფაშისტური ფურცლების გავრცელებაში საჰაერო თავდაცვის ვარჯიშობის დროს, რაც ამას წინათ ჩატარდა.

რაზე მუშაობენ ამერიკელი მწერლები

ნიუ-იორკი, 31 ივლისი (საკდესი). იმ პირობებში, როცა ფაშიზმი და ომი სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებენ, ყველაზე გამოჩენილი და ნიჭიერი ამერიკელი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში სულ უფროდაუფრო მეტ ყურადღებას აქცევენ სადღეისო პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს. ერნესტ ჰემინგუეი, რომელმაც ამას წინათ დასწერა პიესა „მეხუთე კოლონა" (ესპანეთის სამოქალაქო ომის ეპიზოდები), ამჟამად სწერს რომანს, რომელსაც საფუძვლად დაედო იგივე თემა, მაგრამ უფრო დეტალურად დამუშავებული.

ეპტონ სინკლერმა, საკდესის კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა თემაზე მუშაობს იგი, შემდეგი პასუხი გამოჰგზავნა:

„ამჟამად მე ვწერ ყველაზე დიდ რომანს, როგორიც კი როდისმე დამიწერია. მოქმედება მიმდინარეობს ევროპაში და მოიცავს უკანასკნელი 25 წლის პერიოდს. მოქმედი პირები არიან ევროპაში მცხოვრები ამერიკელები. მოცემულია ინგლისელთა, ფრანგთა, ამერიკელთა და გერმანელთა ფუფუნების სურათი, კაპიტალისტური საზოგადოების მსხვრევის სურათი. ჩემს რომანს პირობითად ვუწოდებ „სამყაროს აღსასრული". მოთხრობა იწყება 1913 წლის შუახანებიდან.

ჯონ სტეინბეკმა ამას წინათ გამოაქვეყნა რომანი „მრისხანების მტევნები", რომელმაც ლიტერატურული სენსაცია გამოიწვია. ამ წიგნში სტეინბეკი დიდი სიძლიერით აღწერს კლასობრივ ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში.

ნიჭიერი ახალგაზრდა ზანგი მწერალი რიჩარდ რაიტი, მრავალი მოკლე მოთხრობისა და რომანის „ძია თომას შვილების" ავტორი, მუშაობს ახალ რომანზე, რომელიც გამოხატავს ზანგი ახალგაზრდობის უუფლებობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და ამ ახალგაზრდობის ბრძოლას თავისი უფლებებისათვის, რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

ტეოდორ დრაიზერს არცერთი ახალი რომანი არ გამოუშვია „ამერიკული ტრაგედიის" შემდეგ, რომელიც 1925 წელს გამოვიდა. იუწყებიან, რომ დრაიზერი რამდენიმე წლის განმავლობაში სწერდა წიგნს, რომელიც უნდა ყოფილიყო გაგრძელება მისი წიგნების „გენიოსის" და „ფინანსისტის" სერიისა. მაგრამ დაწვრილებითი ცნობები დრაიზერის ლიტერატურული მუშაობის შესახებ პრესაში არ ქვეყნდება.

ერთერთი უნიჭიერესი ამერიკელი მწერალი ელიოტ პოული დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. ამ ბოლო დროს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ესპანეთის იმ რესპუბლიკელ ლტოლვილთათვის სახსრების შეგროვების კამპანიაში, რომლებიც საფრანგეთში იმყოფებიან. გაზეთ „დეილი უორკერის" წარმომადგენელთან საუბრის დროს ელიოტ პოულმა განაცხადა: „ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეუძლია ვინმეს ჩვენს დროში გულგრილი ან „ნეიტრალური" დარჩეს... ლიტერატურა უნდა იყოს ნაწილი იმ დიადი ბრძოლისა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ, — დემოკრატიისათვის, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა".

საქართველოს პავილიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

პავილიონის გაფორმება

საქართველოს პავილიონის მხატვრული გაფორმების პროექტის შედგენის დროს ჩემს წინაშე, როგორც მთავარი მხატვრის წინაშე, დასახული იყო უდიდესი საპატიო ამოცანა.

ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, საქართველო უნდა გვეჩვენებინა როგორც ფართოდ განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა, აყვავებული ბაღების, ვენახების, ჩაის, ციტრუსების პლანტაციების ქვეყანა.

საქართველოს, როგორც აყვავებული ბაღის, ჩვენება განხორციელებულია. პავილიონის შესავალ დარბაზში შესვლისას მნახველი თითქოს უცებ ხვდება სუბტროპიკულ მცენარეთა ბაღში. ეს მიღწეულია იმით, რომ შესავალ დარბაზში შესასვლელის პირდაპირ კედლის მაგივრად გაკეთებულია მინის გამჭვირვალე ტიხარი, რომელიც შეუმჩნევლად ჰყოფს დარბაზს უზარმაზარი სუბტროპიკული ორანჟერიისაგან. სუბტროპიკული კულტურების დარბაზი ძირითადად თემატურად აგებულია საქართველოს საერთო ლანდშაფტის მიხედვით. აქ ჩვენ ვეცადეთ მოგვეცა რაც შეიძლება მეტი სინათლე, რომ გვერდის ვიწრო დარბაზების ზედმეტი სიგრძის შთაბეჭდილება გამქრალიყო დამატებითი, ხელოვნური განათებით.

თვით მხატვრული გაფორმება აგებულია ისე, რომ თვითეულ სტენდზე, სადაც ნაჩვენებია განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო კულტურა, ფერწერით გადმოცემული ექსპონატები შეუმჩნევლად გადადის ნატურალურ ექსპონატებში და ჰქმნის სიუჟეტის საერთო შთაბეჭდილებას.

ჩვენს პავილიონში საუცხოო კუთხეა სუბტროპიკული ორანჟერია. აქ განუყოფლად ბატონობს ბუნება. იგი გამოდის „ასპარეზზე" ფორთოხლის, ლიმონის, მანდარინის მსხმოიარე ხეებით.

ორნამენტის სამუშაოები შესრულებულია 7 ძმის ვორნასკოვების მიერ. ვორნასკოვების ოჯახის განსაკუთრებით ნიჭიერმა მუშაობამ უზრუნველჰყო პავილიონის უმწიკვლო და ბრწყინვალე მორთვა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ახალგაზრდა ქართველი მხატვრები უ. ჯაფარიძე, ქ. იგიაძე, გ. ჯაში, ა. გიგოლაშვილი, ე. დიგუროვი, შ. მეტრეველი და სხვ., რომლებიც მუშაობდნენ პანოებზე.

პავილიონის ერთერთ ღირსშესანიშნავ საგანს წარმოადგენს იმ სახლის მაკეტი, რომელშიც დაიბადა ამხანაგი სტალინი ქალაქ გორში. ეს მაკეტი გააკეთა მხატვარმა-არქიტექტორმა ლ. მამალაძემ. აგრეთვე უნდა აღინიშნოს დიორამა „კოლხიდა", შესრულებული მხატვარ-არქიტექტორის მ. კელჩევსკის მიერ, რომელიც მუშაობდა ამხ. ჩუკარდინასთან და მ. ივანოვასთან ერთად.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მუშაობა დიაგრამისტების — გოვოროვის, ვასილიევის, სპირიდონოვის ბრიგადისა და იმ ბრიგადისა, რომელიც მუშაობდა ელექტროფიცირებულ რუკებზე—გერასიმოვის, ლევინსონის, გერასიმოვისა.

ქების ღირსი არიან ამხანაგები ვ. ბუჯიაშვილი—საქართველოს პავილიონის დირექტორი, გ. რცხილაძე, გ. ქუთათელაძე—პავილიონის მეთოდისტები, მეავეჯე დურგლები პ. სტაროსტინი, გ. ნიკულინი, მ. კრილოვი და მრავალი სხვა.

ჩვენ გავიმარჯვეთ. ეს გამარჯვება მთელ ჩვენს კოლექტივს კიდევ უფრო დიდ მუშაობას ავალებს.

ვ. სიდამონ-ერისთავი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის მთავარი მხატვარი.

პავილიონის არქიტექტურა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე პუშკინოში, „კოლმეურნეობათა მოედანზე", ყაზახსტანისა და სომხეთის პავილიონებს შუა აღმართულია საქართველოს პავილიონის შენობა, რომელშიც ასახულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული გამარჯვებები.

საარქიტექტურო დეტალების ორნამენტირებაში გამოყენებულ იქნა უმთავრესად მცენარეულობის მოტივების ორნამენტები. ამ მიზნის მიღწევა შეიძლებოდა ხალხური შემოქმედების ფართო გამოყენებით, რომელიც მდიდარია ორნამენტირების ხელოვნებით. ამ მხრივ ძირითადი ყურადღება მიექცა ეზოს, პავილიონის შესავალს, რომელსაც აქვს ორმწკრივი კოლონადა, არკატურით გადახურული. ამ ეზოს კედლები მთლიანად დაფარულია მსხვილი რელიეფური ქართული ორნამენტით—სარკეებით გამოვსებული პატარა დისკოებით, რომლებსაც გადახურული აქვთ მთლიანი წიბოვანი ქუდები, რომელთა შიგნითა მხარე შეღებილია წითელ და ლურჯ ფერებად. ეს შეღებილი ქუდები აირეკლებიან სარკის დისკოებში და ჰქმნიან ორნამენტში ჩასმული მსხვილი ძვირფასი კრისტალის შთაბეჭდილებას.

ეზოს იატაკი გაკეთებულია ფერადი, ძირითადად ქართული მარმარილოსაგან, გეომეტრიული ნახატის სახით. ეზოს სვეტები სტილიზებული ფორმისაა. ისინი ფართოვდებიან ზევითკენ და მთავრდებიან განიერი თავით. მათი ბაზა გაკეთებულია შრომის წითელი მარმარილოსაგან. კოლონადა მთავრდება არკატურით, რომელიც მორთულია ორნამენტიანი თამასით. კვადრატული პორტიკის რიგები კუთხეებში შეერთებულია პილონებით, რომლის ნაპირებზე გაკეთებულია ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი „ჩუქურთმის" ტიპის ორნამენტი.

პორტიკს აქვს შრომის წითელი მარმარილოს სამი საფეხური 20 მეტრის სიგრძისა. ეზოს ორივე მხარეს მოწყობილია მთლიანად თეთრი მარმარილოს შადრევნები.

პავილიონის გვერდის კედლების გასწვრივ კოლონადა—მცირე სიმაღლის განიერი სვეტები—თავისი პროპორციით წარმოადგენს დიდ კონტრასტს ცენტრალურ პორტიკთან. ეს გაკეთებულია იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას ცენტრალური შესასვლელის საზეიმო სახეს. გვერდის კოლონადასაც აქვს ორნამენტიანი თამასა შემოვლებული.

პავილიონის შენობას შემოვლებული აქვს ბაირაღები სპეციალურ კრონშტეინებზე. მათ ქვეშ ბრინჯაოსა და ალუმინისაგან ჩამოსხმულ მხატვრულ გისოსებიანი ფანჯრებია. ცენტრალური პორტიკი მთავრდება საქართველოს სახელმწიფო ღერბისა და ლენინის ორდენის სკულპტურული კომპოზიციით, რომლებიც გარშემოვლებულია სიუხვის ნაყოფებით და თავზე აქვთ ლალის ვარსკვლავი. ამ კომპოზიციის ქვეშ მოთავსებულია წარწერა რუსულ ენაზე **«Грузинская ССР»** და ოთხი ქართული ასო: **სსსრ.**

საქართველოს პავილიონი ფასადით გამოდის ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ ყოველმხრივ ღია პორტიკი აჟურული არკატურით შესაძლებელს ხდის მზის სხივების შემოჭრას მთელი დღის განმავლობაში.

პავილიონის მარცხენა ფრთასთან მოთავსებულია ნიჭიერი მოქანდაკის თოფურიძის მიერ შესრულებული ქანდაკება, რომელიც გამოხატავს სამუშაოდან მომავალ ქართველ კოლმეურნეს ცოლით და შვილით. ეს ჯგუფი დგას ბოლნისის ტუფის კვარცხლბეკზე. გაკეთებულია იგი ბეტონისაგან და მარმარილოს ფხვნილისაგან. მარჯვენა ფრთასთან დგას დიდი პალმა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს ასიმეტრია მეტ ყურადღებას გამოიწვევდა ქანდაკებისადმი.

ცენტრალურ დარბაზს ამშვენებს „დარბაზის" ტიპის საფეხურებიანი სამი გუმბათი, რომელთა ცენტრში მოთავსებულია მხატვრულად ჩამოსხმული გისოსები, რომლებიც ჰფარავენ ვენტილაციას, აგრეთვე ქართული სტილით შესრულებული ჭაღები. ცენტრალური დარბაზი გამოყოფილია ორანჟერიისაგან მინის ორნამენტიანი ფართო კედლით. გვერდის ორ დარბაზში გასასვლელები გაკეთებულია „დარბაზის" სახით, ხის კონსტრუქციისა და მთლიანად დაფარულია ორიგინალური ჩუქურთმით. ცენტრალური და გვერდის დარბაზების ლავგარდნები დაფარულია მცენარეული ორნამენტით—ყურძნის მტევნებითა და ფოთლებით.

საქართველოს პავილიონის პროექტის ავტორმა—ა. გ. ქურდიანმა—პროექტი დამუშავა არქიტექტორების ი. კ. უიტკოვსკის, ქეთო სოკოლოვას და გ. ლეჟავას მონაწილეობით. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დაპროექტება მთლიანად სწარმოებდა ძალიან მოკლე ვადაში. მაგრამ ამას ხელი არ შეუშალა პროექტთან ერთად დაგვემუშავებინა და შეგვექმნა ახალი, ქართული თანამედროვე ორნამენტები და სხვა დეტალები.

მშენებლობას აწარმოებდა გამოფენის სამშენებლო სამმართველო. მარმარილოს, ხის დამუშავების, სამღებრო სამუშაოები, ჩუქურთმა და მხატვრული ჩამოსხმა შეასრულეს მეტრომშენის სამშენებლო ორგანიზაციებმა. მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ მობილიზებულმა ინჟინერმა ნ. ფ. როდიონოვმა და ინჟინერმა ვახრუშევიკოვმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს მშენებლობას, კერძოდ სამუშაოთა მწარმოებელს მოვსესიანს.

საქართველოს პავილიონის, ისევე როგორც მთელი გამოფენის, მშენებელნი აღფრთოვანებული იყვნენ ღრმა ენტუზიაზმით. გამოფენის კოლექტივი ბედნიერია და ამაყობს იმით, რომ მონაწილეობა მიიღო ამ გრანდიოზულ მშენებლობაში, რომელიც ასახავს საკოლმეურნეო წყობილების ისტორიულ გამარჯვებებს ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით.

ა. გ. ქურდიანი.

თბილისის საქალაქო საბჭოს მთავარი არქიტექტორი.



დღეს შესრულდა 6 წელი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების დღიდან ი. ბ. სტალინის სახელობის თეთრი ზღვისა და ბალტიის ზღვის არხის გახსნის შესახებ. **სურათზე:** საბარგო გემები არხში. საკდესის ფოტოქრონიკა.

სასამართლო
სპეკულანტები

შეუსრულდა ნატვრა ილია მეერის-ძე გაზნელიშვილს (მეტსახელად „სათვალეებიანი ილუშა"). ის „თბილვაჭრობის" მე-17 მაღაზიის საფართლო სექციის გამგედ დანიშნეს.

გაკეთდა ჩემი საქმე,—სთქვა „სათვალეებიანმა ილუშამ". დატრიალდა, შემოიკრიბა ერთგული ბიჭები: შალვა მოშეს-ძე მოშენაშვილი, თავისი ძმა სიმონ მეერის-ძე გაზნელიშვილი და იოსებ სოლომონის-ძე კობოშვილი. ძმაბიჭები „ერთგულად" მუშაობდნენ, ათასგვარი ხრიკებით ეზიდებოდნენ თოფობით გაუხსნელ ფართალს სახლში და ჰყიდდნენ სპეკულანტურ ფასებში. მაგრამ გაზნელიშვილსა და მის „კომპანიას" დიდხანს არ დასცალდა თარეში, მალე წაასწრეს მათ დანაშაულზე. 1939 წლის 26 თებერვალს გაჩხრეკილ იქნა ილია გაზნელიშვილის ბინა (განათლების შესახვევი, № 4) სადაც მას გადამალული აღმოაჩნდა 600,5 მეტრი ფართალი, 45 ცალი ნაჭერი სხვადასხვა საქონელი და 15.150 მანეთი ნაღდი ფული. სპეკულანტები დააპატიმრეს.

ეს ბრბო იმდენად გათავხედდა, რომ სპეკულანტ ილია გაზნელიშვილს ძმამ მასზედ უარესმა სპეკულანტმა სიმონ გაზნელიშვილმა და იოსებ კობოშვილმა 10.000 მანეთი ქრთამი შეაძლიეს გამომძიებელ ნაცვლიშვილს, თუ იგი მათს საქმეს მოსპობდა.

28 და 29 ივლისს ირჩეოდა საჯაროდ საჩვენებელი წესით ამ სპეკულანტების საქმე, კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოში ამხ. ა. ფხაკაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ვ. ებანოიძის მონაწილეობით. სპეკულანტებს სათანადო მიეზღოთ: ილია მეერის-ძე გაზნელიშვილსა და შალომ მოშეს-ძე მოშენაშვილს სასამართლომ მიუსაჯა ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ადგილებში გადასახლებით და საოჯახო ქონების, ჩამორთმეული საქონლისა და ფულის კონფისკაციით, იოსებ სოლომონის-ძე კობოშვილს—თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით შორეულ ადგილებში გადასახლებით და სიმონ მეერის-ძე გაზნელიშვილს თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით შორეულ ადგილას გადასახლებით.

პროცესს დიდძალი ხალხი ესწრებოდა და განაჩენს დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

მ. ზაალიშვილი.

ფეხბურთი
სსრ კავშირის პირველობაზე

„ა" ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე დიდი ინტერესით მიმდინარეობს. ჯერჯერობით წინ არიან მოსკოვის „სპარტაკი", „დინამო", „ლოკომოტივი" და სტალინგრადის „ტრაქტორი".

თოთხმეტი ჩატარებული მატჩიდან 16 ქულა შეაგროვა მოსკოვის „ცდკამ". 15 მატჩიდან 16 ქულა აქვს აგრეთვე თბილისის „დინამოს", ამ გუნდებს ერთი ქულით ჩამორჩნენ კიევის „დინამო", სტალინოს „სტახანოვეცი", მოსკოვის „ტორპედო" და სხვ.

თბილისის „დინამო" ამჟამად მეექვსე ადგილზეა, მაგრამ მას ჯერ კიდევ დაკარგული არა აქვს დაწინაურების შესაძლებლობა. ახლო მომავალში თბილისელები მოწინააღმდეგის სტადიონებზე შეხვდებიან მოსკოვის „ცდკას", ლენინგრადის „ელექტრიკს", „სტალინეცს" და მოსკოვის „სპარტაკს". უკანასკნელ მატჩებს თბილისის დინამოელები ჩაატარებენ საკუთარ მოედანზე ლენინგრადის „დინამოსთან", მოსკოვის „მეტალურგთან", სტალინგრადის „ტრაქტორთან", სტალინოს „სტახანოვეცთან" და კიევის „დინამოსთან".

„ა" ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებმა უკვე 95 შეჯიბრება ჩაატარეს, რომელთა შორის 31 ფრედ დამთავრდა. მოგების ყველაზე მეტი რაოდენობა აქვს მოსკოვის „დინამოს" (9) და „სპარტაკს" (8). ყველაზე მეტი შეჯიბრება ოდესის „დინამომ" წააგო (10 მატჩი), ამ გუნდის კარი 41-ჯერ იყო გარღვეული.

აგრესიულად თამაშობენ მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელები, რომლებმაც 35 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში. გატანილი ბურთების რაოდენობით მეორე ადგილზე არიან თბილისის „დინამოს" და „ცდკას" თავდამსხმელები, რომლებმაც 31 ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში.

„ბ" ჯგუფის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის ჯერჯერობით პირველ ადგილზე მიდის მოსკოვის გუნდი „კრილია სოვეტოვ", რომელმაც 10 ჩატარებულ შეჯიბრებიდან მოაგროვა 19 ქულა. მეორე ადგილზე მიდიან თბილისის „ლოკომოტივი" და ხარკოვის „დინამო". მათ 12 ჩატარებული მატჩიდან შეგროვილი აქვთ 18 ქულა.

შადრევანი ახალ პარკში

შადათოვის ყოფილ კუნძულზე ახლახან გაშენებულ დიდსა და მშვენიერ, მრავალმცენარიან პარკს ახლო ხანში ახალი სამკაული შეემატება: იქ გადაწყვეტილია ფიგურული, ფერადსინათლიანი დიდი შადრევანის აღმართვა. აღნიშნული შადრევანი მოწყობილი იქნება ლენინგრადის ცნობილი საუკეთესო შადრევნების მსგავსად.

თბილისის საბჭოს საგეგმო კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ამ საქმის ხელმძღვანელობა გადასწყვიტა მიავლინოს სპეციალისტები ლენინგრადს იქაური საუკეთესო შადრევნების კონსტრუქციისა და ჰიდროლოგიური თავისებურებების შესასწავლად.

ახალი შადრევნის მოწყობას შემოდგომაზე შეუდგებიან.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1536232, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ტიჩი კუკურას-ძე შელიას სახელზე, პარტბილეთი № 1526776, გაცემული ამავე რაიკომის მიერ მიხეილ გუსარის-ძე ციმინტიას სახელზე, და პარტბილეთი № 2848657, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მიერ ბიგლარ მიხეილის-ძე ჩხეიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0929685, გაცემული ამავე რაიკომის მიერ სიმონ ასლანის-ძე ჯაფარიძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0929613, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ლევან იორდანეს-ძე აბესაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1685030, გაცემული ამავე რაიკომის მიერ სევერიანე ნესტორის-ძე ბაშელეიშვილის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 1261563, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომის მიერ ამბროსი ანტონის-ძე აბუსერიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2845687, გაცემული ამავე რაიკომის მიერ იოსებ მიხეილის-ძე ხიდეშლის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1542611, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მიერ ასლან იუსუფის-ძე კვერკველიას სახელზე, საკანდიდატო ბარათი № 1671203, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ოლღა თედორეს-ასულ ღლონტის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

პერსონ. და აკად. პენსიონერთა საყურადღებოდ.
ა. წ. 3 აგვისტოს საღამოს 7 საათზე პროფკავშირების კლუბში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია
პერსონალურ და აკადემიურ პენსიონერთა
საერთო საქალაქო კრება.
აღნიშნულ პირთა დასწრება სავალდებულოა.
2642 სსსრ სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

ექიმ ნ. ბ. კანტოროვიჩის
თმის მკურნალობისა და კოსმეტიკის
კაბინეტი
ელბაქიძის დაღმართი, 21
მიღება დილის 12-დან 4 ს-მდე
მუწუკების, ფერისმჭამელას, ჭორფლის, ლაქების, კანის სიხმელის, თმის დაცვენის, თეზოს მკურნალობა, ხალების, მეჭეჭების, ნაჭრილობევების და პირისახისა და თავის კანის სხვა ნაკლთა გაქრობა. 3—3 1768

საქართველოს სატყეო სარეწაო კოოპერაციის კავშირის „საქსარეწტყეკავშირის" სისტემის შენაერთი ბალანსი 1939 წ. 1 იანვრისათვის და მისი შედარება წარსული წლის მონაცემებთან (ათას მანეთებში).

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	1/I 1938 წ.	1/I 1939 წ.
1	ძირითადი საშუალებანი	2877	3329
2	საგნები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ძირითად საშუალებებს	374	454
3	ნედლეული მასალები და სათბობი	1275	1584
4	წარმოება	1059	1730
5	მზა ნაკეთობანი და საქონელი	2550	2267
6	რეალიზაციისათვის გამოყოფილი საგნები, ძირითად საშუალებათა ლიკვიდაციის წესით	37	28
7	გაგზავნილი საქონელი და შესრულებული სამუშაოები	367	777
8	ფულადი საშუალებანი	652	964
9	ანგარიშსწორებანი	1918	2514
10	ხარჯები მომავალი საანგარიშო პერიოდების ანგარიშზე	76	90
11	შენატანები, ანარიცხები და სხვ. განყენებული საშუალებანი	765	1181
12	ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი	147	7
13	ძირითადი ფონდის დანაკლისი, ძირითად საშუალებათა გაცვეთის დასაფარავად	164	182
14	წასული წლების ზარალი	378	456
15	საანგარიშო წლის ზარალი	466	422
	ბალანსი	13105	15985

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	1/I 1938 წ.	1/I 1939 წ.
1	ფონდები	2969	3835
2	რეზერვები და მომავალი გადახდები	153	241
3	მრეგულირებული მუხლები	34	70
4	გრძელვადიანი კრედიტები	2549	2362
5	მოკლევადიანი კრედიტები საჰბანკი	432	368
6	ანგარიშსწორებანი (კრედიტორები)	4953	6695
7	ბალანსთაშორისო ანგარიშსწორებანი	16	12
8	წარსული წლების მოგება	84	68
9	საანგარიშო წლის მოგება	1915	2334
	ბალანსი	13105	15985

1938 წ. მოგება-ზარალის შენაერთი ანგარიში

№№ რიგ.	ხარჯები და ზარალი	ჯამი
1	ზარალი რეალიზაციით	767
2	სხვადასხვა ხარჯები და ზარალი	1.650
3	საანგარიშო წლის მოგება	2.334
	ბალანსი	4.751

№№ რიგ.	შემოსავალი და მოგება	ჯამი
1	შემოსავალი რეალიზაციით	2.777
2	სხვადასხვა შემოსავალი	1.552
3	საანგარიშო წლის ზარალი	422
	ბალანსი	4.751

ბალანსი დამტკიცებულია „ვსეკოლესპრომსოიუზის" საბალანსო კომისიის მიერ (ქ. მოსკოვში) 1939 წ. 4 მაისს.

პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ს. ჯიბაშვილი.** სისტემის მთ. ბუხჰალტერი **გ. რატიანი.** 480

დამწუხრებული მეუღლე ირაკლი, შვილი ჟუჟუნა, მაზლები მიხეილ და დათიკო ოჯახით, ფუცუ და გრიშა ზაქარაიები მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
ანიჩკა დანელიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ცხაკაიაში 3/VIII. 2660

თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს სარენტგენო განყოფილების თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე განყოფილების თანამშრომლის
ალექსანდრე გიორგის-ძე გაგლოშვილის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ს. წნელისში (აგარა) 2/VIII. 2661

თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პროპედევტიკული თერაპიული კლინიკის ექიმები იუწყებიან ამხანაგის ექიმ თამარ იაშვილის მამის
სიმონ იოსების-ძე იაშვილის
გარდაცვალებას. 2662

შვილები კატუშა, ილიკო, ლადო, ლექსო, ნანო, რძლები ვერა, თამარ, გალია შვილებით, სიძე ნ. ვაშაკიძე შვილით იუწყებიან
ივანე დიმიტრის-ძე პატიაშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VIII, 8 ს. გამოსვენება 3/VIII, 5 ს. კობის ჩიხი, 5. 2663

დამწუხრებული მეუღლე სათენიკ მირიანოვა, შვილი ნატა იუწყებიან პროვიზორ
ნიკოლოზ მირიანის-ძე მირიანოვის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VIII, 8 ს. გამოსვენება 3/VIII, 5½ ს. ენგელსის, 17 კუკიის სასაფლაოზე. 2664

თბილისის საბჭოს სააღრიცხვო სამმართველოს თანამშრომლები და აღრიცხვის რაიინსპექტორები მწუხარებით იუწყებიან ლენინის სახ. რაიონის აღრიცხვის ინსპექტორის
ნიკოლოზ გოგოლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 3/VIII, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2666

მეუღლე ვანო, მშობლები მარო, ზაქარია, ძმები დათიკო, ოთარ, რძალი მარო შვილებით გონდაურები იუწყებიან, რომ 6/VIII, 6 ს. პეტრეპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ნადია ბერია-გონდაურის
პანაშვიდი. 2665

მეუღლე მართა, შვილები ლიდა, თამარ, ნინო, ანტონ, შვილიშვილები, რძალი თამარ, სიძეები თ. ძიმისტარიშვილი, ლ. შამათავა იუწყებიან
ვლადიმერ თევდორეს-ძე ხინტკირიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VIII, 7 ს. ჩელუსკინელების, 7. გამოსვენება 3/VIII, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე. 2655

ლიდა და თომა ძიმისტარიშვილები შვილებით გულისათი და გივით იუწყებიან მამის, სიმამრის და ბაბუის, ძვირფას
ვლადიმერ თევდორეს-ძე ხინტკირიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VIII, 7 ს. ჩელუსკინელების, 7. გამოსვენება 3/VIII, 6 ს. 2656

საქჰიდროტრესტის მომარაგება და ტრანსპორტის საცალო ვაჭრობის განყოფილებათა თანამშრომლები იუწყებიან ამავე განყოფილების გამგის მოადგილის ალექსი გაგნიძის მეუღლის
მარო გაგნიძის
გარდაცვალებას. 2657

წულუკიძის რაიაბრეშუმის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან კირილე ქავჭანიძის შვილის პატარა
ჯანერის (ჯანიკო)
გარდაცვალებას. დაკრძალვა წულუკიძეში 3/VIII. 2658

დამწუხრებული მეუღლე თამარ შვილებით, მშობლები ოლღა, გრიგოლ, დები ნატაშა, მარო, პაშა, ძმა შალვა იუწყებიან
ნიკოლოზ გოგოლაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/VIII, 6 ს. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება იქიდანვე 3/VIII, 5 ს. 2659

დამწუხრებული მეუღლე ვალერიან ჩაჩუა, შვილები ეთერ, კუკური, მამამთილი ნესტორ, დედამთილი აინე, მულები მარუსა, შურა, ვარდო, მაზლები რაჟდენი, კოლია იუწყებიან
ლიდას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ქვემო აბაშაში (საჯევახო).

ჭიათურის პარტრაიკომის მუშაკები იზიარებენ ს. მიქიაშვილის მწუხარებას მისი ბიძაშვილის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის მე-4 კურსის ფრიადოსანი სტუდენტის
ქიშვარდი გრიგოლის-ძე მიქიაშვილის
გარდაცვალების გამო.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—34, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ. ჩ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—614